საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი-კვირა, 18-21 თებერვალი. 2021 წ. №34-35 (9153-9154) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

„ხრეშჩატიკელ სკუნსს“ ცივი შხაპი გადაავლეს და თავაზიანად შესთავაზეს, რომ მოეკეტა. დიდხანს კი გაყვება ეს შეგონება?

„მყრალა“ ③ ხრეშჩატიკის პროსპექტიდან

თქვენს უკან საქართველოა!

არა გვგონია ამდენი აჟიოტაჟისა და ყურადღების ღირსი იყოს კრიმინალური პარტიის თავმჯდომარე ნიკანორ მელია, რომელიც კარგა ხანია გავიდა მორალის, ზნეობის და, რაც მთავარია, კანონის ნორმებიდან. მისი და მისი მხარდამჭერების ქცევა სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს... ნაცები და იმათი მხარდამჭერები, გაიძვერა ადვოკატების ჩათვლით, ძირს უთხრიან სახელმწიფო ინსტიტუტებს, უხეშად ერევიან პროკურატურისა და სასამართლო გადაწყვეტილებებში და მსოფლიო პოლიტიკას მიტმასნილი ავაზაკის, ბრალდებული კრიმინალის მიხო სააკაშვილის ხუშტურებზე დადიან...

არადა, დღეს ჩვენს სახელმწიფოს ყველა პირობა აქვს საიმისოდ, რომ ეს გუშინდელი ქვეყნის დამაქცევარნი, პროვოკატორები და არამზადები პოლიტიკურ სანაგვეზე სამუდამოდ მოისროლონ!..

უფრო პრინციპულად და გაბედულად იმოქმედეთ, „ოცნების“ ხელისუფლებავ! თქვენს უკან საქართველოა!

ზურაბ ჯაფარიძის აქციები „ჰამასის“ აქციებს ჰგავს, ასალგაზრდებს ცოცხალ ⑤ ფარად იყენებს!

„პუტინის რუსეთი ⑧ დინოზავრია – უზარმაზარი სხეულითა და პატარა ტვინით“

ემზარ კვიტაიშვილი



მზაკვართა ბუდე უნდა მოისრას... ⑦

ეს ამბავი თითქმის ორი ათეული წლის წინათ იყო: ძლიერ მეწადა, თბილისში – ამ უძველეს ქალაქში, ყოფილიყო იუდეის დიდი მეფის – ფსალმუნთა შემქმნელის – დავითისა და მისი ძის შლომოს – სოლომონ ბრძენის – სახელობის ქუჩები. მახსოვდა, არ მავიწყდებოდა, საქარ-

გურამ ბათიაშვილი — სახეები და ვითარებანი

ასე ვვიდოდით...

თველოს კათოლიკოს-პატრიარქთან პირველი შეხვედრისას მის მიერ ნათქვამი სიტყვები: საქართველოში არ არისო წუთი, რომ დავითის ფსალმუნი არ იკითხებოდეს – ყოველ ეკლესიაში, ყოველ წუთს იკითხებაო ფსალმუნი.

ჩემი მიზნის მისაღწევად – თბილისის ორ ქუჩაზე დიდ მეფეთა სახელის მინიჭების თაობაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მოსაზრება მაინტერესებდა – ჩემი ამ ძლიერი სურვილითა და ამ საქმის გასრულებისთვის მეცადინეობით, უნებურად რაიმე შეცდომას ხომ არ ვუშვებდი, სხვათა ღირსებას ხომ არ ხელვყოფდი. კათოლიკოს-პატრიარქის მდივან-რეფერენტს – ძვირფას შორენას დავურეკე, მისი უწმინდესობის ნახვა მწადია-მეთქი. ნახევარ საათში გადმომირეკა, მობრძანდით, გელოდებათო. მივედი. უწმინდესი და უნეტარესი დაკავებული გახლდათ – ტელეფონზე საუბრობს, მალე განთავისუფლდებაო. დროის მოსაკლავად ფოიეში გავედი და საინტერესო სანახაობას წავაწყდი: კედლები მოფენილი გახლდათ საქართველოს ადრინდელი წლების კათოლიკოს-პატრიარქების სურათებით. ყურადღებით ვათვალიერებდი – კედლებიდან გადმომყურებდნენ შთაგონებული მზერის, რწმენით გასხივოსნებული ადამიანების სახეები. არ დავფარავ, მე, იუდეველი, ყოველი მათგანის მიმართ უდიდესი პატივისცემით ვივსებოდი. რატომ? იუდეველი ვარ, მჯეროდა, მჯერა – სიცოცხლის ბოლომდე ასეც იქნება – სამყაროს გამსახავის – უზენაესის მოძღვრებისა, შეძლების მიხედვით, იმასაც ვცდილობ, მის მცნებებს ვიცავდე.

იხ. 5 გვ.

პარლამენტში საგამოძიებო კომისია შეიქმნა

პარლამენტმა საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით დროებითი საგამოძიებო კომისია შექმნა. საკითხზე კენჭისყრა გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ჩატარდა. საკითხს მხარი დაუჭირა 78-მა დეპუტატმა, წინააღმდეგი არავინ წასულა.

დადგენილების პროექტი ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ წარადგინა. მდინარაძის თქმით, კომიტეტის შემადგენლობას საპროცედურო საკითხთა კომიტეტი სამ დღეში დააკომპლექტებს.

<u>კარლ ჰარცელი:</u> გადადგით ნაბიჯები იმისკენ, რომ ვითარება უფრო მეტად არ გამწვავდეს!

ვხედავ რისკს, რომ მოვლენების არსებული განვითარებითა და არსებული ტრაექტორიით, ჩვენ შევალთ უფრო მეტ განხეთქილებაში, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა კარლ ჰარცელმა ნიკა მელიას საქმეზე საუბრისას განუცხადა. მისივე თქმით, აღნიშნულ შემთხვევას პოლიტიკურ ლანდშაფტზე უფრო ფართო გავლენა ექნება, რაც საერთო ენის გამონახვასა და საერთო გამოსავლის პოვნას შეუძლებელს გახდის.

„თვითონ იურიდიულ ნაწილზე კომენტარს არ გავაკეთებ. ეს არის მიმდინარე საკითხი და ყველას მხრიდან პროცესისადმი პატივისცემა უნდა იყოს გამომჟღავნებული. რა თქმა უნდა, უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში დავინახე, რომ პოლიტიკურ სივრცეში ტემპერატურა კვლავ ძალიან სწრაფად იმატებს. ვხედავ რისკს, რომ მოვლენების არსებული განვითარებითა და არსებული ტრაექტორიით, ჩვენ შევალთ უფრო მეტ განხეთქილებაში. ვშიშობ, რომ ამ შემთხვევას პოლიტიკურ ლანდშაფტზე ექნება უფრო ფართო გავლენა, რაც შეუძლებელს გახდის საერთო ენის გამონახვას და საერთო გამოსავლის პოვნას. რაც შეეხება არსებული სიტუაციის შემადგენლებს, რამდენიმე ხაზგასასმელი არგუმენტია. ამ შემთხვევაში ორი საკითხი მინდა წინ წამოვწიო, ერთია სასამართლო სისტემის მიმართ უნდობლობისა და უპატივცემლობის ფაქტორი და მეორე პოლარიზაციის მაღალი ხარისხი. ეს ორი ფაქტორი ერთად დამანგრეველი კომბინაციაა. ვფიქრობ, რომ ეს საქართველოსა და საქართველოს დემოკრატიისთვის სახიფათო ტრაექტორიაა. მოვუწოდებ მხარეებს, რომ გაიკეთონ განცხადებები, გადადგან ნაბიჯები იმისთვის, რომ უფრო მეტად არ გამწვავდეს არსებული ვითარება“, — განაცხადა ჰარცელმა.

ოპოზიციის პროექტი სახელწოდებით – „გაყალბებული არჩევნები“, ჩავარდა!

მისივე თქმით, აღნიშნულს ბოლო დღეების განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შეცვლილი მესიჯ-ბოქსი მოწმობს. როგორც მდინარაძე აცხადებს, ისინი ახლა სხვა მესიჯებზე გადავიდნენ და ცდილობენ, საზოგადოების აღშფოთების სხვა ე.წ. ნარატივით გამოწვევას.

„ბოლომდე ჩავყვებით, რადგან ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გვაქვს სუბიექტური ინტერესი, ვამხილოთ, რომ ეს იყო პიარული და ამავდროულად, თავხედური პროექტი. ჩვენი ლეგიტიმურად სუბიექტური ინტერესის გარდა, არსებობს სახელმწიფოებრივი ინტერესი, რომ გარკვეული ხარვეზები, რომლის გარეშეც მსოფლიოში არც ერთი არჩევნები არ გამართულა, გამოვლინდეს, რათა შემდგომი პრაქტიკა დაიხვეწოს და ხარვეზების აღმოფხვრაზე კიდევ უფრო კვალიფიციური მიდგომა გამოვიჩინოთ“, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

ნიკა მელიამ, პრაქტიკულად, ხელთათმანი ესროლა სამართალს!

ნიკა მელია ძალიან ცუდ მაგალითს აჩვენებს საზოგადოებას, **რომ კანონმდებელი არ იცავს კანონს და ასევე ის არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ოპოზიციური გაერთიანების ლიდერი,** — განაცხადა პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ დიმიტრი ხუნდაძემ. ხუნდაძე ფიქრობს, რომ მელიას უნდა ჰქონდეს უფრო დიდი პასუხისმგებლობა, ვიდრე ჩვეულებრივ მოქალაქეს.

„მან, პრაქტიკულად, ხელთათმანი ესროლა სამართალს, ეს მიუღებელია. ეს ფანჩატურული დროებითი გაუგებარი ერთობა არავითარ საერთო ღირებულებებს არ ეფუძნება. თუმცა, მათ აქვთ საერთო, რომ დესტრუქციის გზით უნდათ ხელისუფლებაში მოსვლა, ეს წარმოუდგენელია. ქვეყანაში არჩევნები ჩატარდა თავისუფალ გარემოში, როგორც აღიარეს საერთაშორისო პარტნიორებმა.

საზოგადოების გადაწყვეტილებაა, რომ მოცემული კონფიგურაციით იყოს წარმოდგენილი, როგორც ოპოზიცია, ასევე პოზიცია პარლამენტში და მათი დაკვეთა უნდა აღსრულდეს. თუმცა, ისინი რჩებიან დესტრუქციულ რეჟიმში და ხელს უწყობენ ნიკა მელიას, დააზიანოს სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტი“, — აცხადებს ხუნდაძე.

ქუთაისში ბინას კიდევ 60 დევნილი ოჯახი მიიღებს

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო ქუთაისში, ახალაშენებულ კორპუსებში ბინას კიდევ 60 დევნილ ოჯახს გადასცემს, — ამის შესახებ ინფორმაციას დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, დღეს ერთოთახიანი, ოროთახიანი, სამოთახიანი და ოთხოთახიანი ბინები კენჭისყრის პრინციპით განაწილდა. კენჭისყრის პროცედურის შედეგად გამოვლინდა კონკრეტულად რომელ ბინას მიიღებენ დევნილი ოჯახები. ოთახების რაოდენობა ოჯახის სულადობის მიხედვით განისაზღვრება. 60 დევნილ ოჯახს ახალი ბინის გასაღები უახლოეს დღეებში გადაეცემა.

ხაშურში პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა გრძელდება

ხაშურში პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა მიმდინარეობს. **სასწავლებელი გათვლილია 150 მოსწავლეზე,** — ამის შესახებ ინფორმაციას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, თანამედროვე ტიპის სამსართულიან შენობაში იფუნქციონირებს სოფლის მეურნეობის ტექნიკის, ელექტრომექანიკის, ავტოსატრანსპორტო, სამშენებლო საქმის, სატყეო საქმის, მეფუტკრეობისა და კულინარიის სახელოსნოები.

შენობაში ასევე თავმოყრილი იქნება სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, ადაპტირებული სველი წერტილები და სპორტული მოედანი. პროფესიული სასწავლებელი აღჭურვილი იქნება გათბობა-გაგრილებისა და ვენტილაციის ცენტრალური სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს წლის ნებისმიერ დროს სწავლისთვის საჭირო კლიმატის შექმნას.



◎ წერილი ამერიკიდან

დეკა ვუ, ანუ სახალხო კრება

ბატონი გუბაზ სანიკიძე დიდ საგონებელშია ჩავარდნილი. პარლამენტში შესვლაზე მისმა პარტიამ უარი განაცხადა თუ მმართველი გუნდი ვადამდელი არჩევნების დანიშვნაზე არ დათანხმდებოდა, მაგრამ მთავრობა არა და არ მიდის დათმობაზე: არჩევნები რაიმე მნიშვნელოვანი გაყალბებების გარეშე ჩატარდა და ამიტომ კეთილი ინებეთ და შემობრძანდით პარლამენტშიო.

თავიდან იმედი იყო, რომ ოპოზიციური პარტიების ერთიანობა ბოიკოტის საკითხში აიძულებდა მთავრობას, ვადამდელი არჩევნები დაენიშნა, რომ პარლამენტში მხოლოდ „ქართული ოცნების“ დეპუტატები არ მსხდარიყვნენ, მაგრამ ამ ერთიანობასაც მალე გაუჩნდა ბზარი და პარლამენტი სამპარტიული გახდა. ენმ და „ევროპული საქართველო“ კვლავ მტკიცედ ადგანან ბოიკოტის გზას და ამინდის დათბობის შემდეგ ქუჩის აქციებით და „ცხელი გაზაფხულით“ იმუქრებიან, თუ მთავრობა მათ ნებას არ დაჰყვება და ვადამდელ არჩევნებს არ დანიშნავს, მაგრამ სხვა პარტიებში უკვე ორჭოფობა შეინიშნება შესვლა-არშესვლის თაობაზე. ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც არ იწონებენ ქუჩის აქციების პროექტს და დაბეჯითებით ურჩევენ ბოიკოტის მონაწილეებს, პარლამენტის ტრიბუნიდან თქვან თავიანთი სათქმელი.

ასეთ ვითარებაში დაებადა ბატონ გუბაზს იდეა, მებოიკოტეებისთვის შეეთავაზებინა, მოდით სადმე სახლი ვიქირავოთ, სადაც შევიკრიბებით და ჩვენს ყრილობებს სახალხო კრება ან რამე ამდაგვარი დავარქვათო. ისიც დაუმატა, მე სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ და თქვენ თუ იცით რამე უკეთესი, ბრძანეთო.

უნდა ითქვას, რომ ამ იდეას დიდი მოწონებით არ შეხვედრიან. „ევროპული საქართველოს“ ლიდერმა გიგა ბოკერიამ უარი თქვა შემოთავაზებაზე და ამას ისევ მიტინგები და დემონსტრაციები ამჯობინა.

ეს ამბავი 30 წლის წინანდელ საქართველოს გვახსენებს, როცა სხვადასხვა პარტიებს შორის უთანხმოების გამო „ეროვნულ-დემოკრატიული“ და „ეროვნული დამოუკიდებლობის“ პარტიების ლიდერებმა გადაწყვიტეს მაშინდელი უზენაესი საბჭოს საპირისპიროდ კიდევ ერთი საკანონმდებლო ორგანო შეექმნათ კონგრესის სახელწოდებით. გიორგი ჭანტურია, ეროვნულ-დემოკრატების ლიდერი, აცხადებდა: კი ბატონო, იმუშავოს უზენაესმა საბჭომაც, ჩვენ მას ხელს არ შევუშლით, თუ ის ნამდვილ ქართულ, ვაუკაცურ კანონებს მიიღებს და მხოლოდ მაშინ ჩავერევით საქმეში, თუ მან სწორ გზას გადაუხვიაო. თუმცა გაუგებარი იყო, ვის უნდა ჰქონოდა ბოლო სიტყვა კანონპროექტების „ქართულობის და ვაუკაცურობის“ შეფასებაში. მიუხედავად იმისა, რომ მაშინაც იყვნენ ამ ინიციატივის მოწინააღმდეგენი, მათ შორის ზვიად გამსახურდია, კონგრესის არჩევნები მაინც ჩატარდა და რამდენიმე ხანი სხდომებიც იმართებოდა. ტელეეკრანებიდან ხშირად გაიგონებდით, ხომ ხედავთ, რა ჭკვიანი ხალხი ვართ ქართველები, ჩვენს გარდა კონგრესი მსოფლიოში მხოლოდ სამ სახელმწიფოს აქვს — ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინდოეთს და ესტონეთსო. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, არც ერთ ამ ქვეყანაში აზრადაც არავის მოსვლია არსებულთან ერთად ახალი საკანონმდებლო ორგანოს არჩევა.

ამ ამბების გახსენება ერთი მხრივ დამაფიქრებელია, ხოლო მეორე მხრივ — იმედის მომცემი. დამაფიქრებელი იმიტომ, რომ როგორც მაშინდელი ისე დღევანდელი ვითარება გვიჩვენებს, თუ რა ძლიერია ჩვენში განკერძოების, ოპოზიციაში დგომის, ერთმანეთთან ქიშპის მუხტი, რაც ხელს უშლის საერთო საქმის კეთებაში თანამშრომლობას. მეორე მხრივ ის, რომ ბატონი გუბაზის ინიციატივამ საბედნიეროდ მხარდაჭერა უკვე ვეღარ ჰპოვა, იმის მაჩვენებელია, რომ დღეს ჩვენი საზოგადოება ბევრად უფრო გათვითცნობიერებულია, ვიდრე 30 წლის წინათ. იმედია რომ ბოლოსდაბოლოს ბატონი გუბაზი და სხვა ოპოზიციონერებიც მიხვდებიან, რომ უკეთესი გზა, ვიდრე პარლამენტში შესვლა, რომ ქვეყანამ სტაბილურობა და საერთაშორისო თანამეგობრობის პატივისცემა შეინარჩუნოს და 2024 წლის არჩევნები უფრო მაღალ დონეზე ჩატარდეს, არ არსებობს.

მიხეილ გამყრელიძე,
ნიუ-იორკი

მამის შემარცხვენელი

ქონით გატიკნილ პოლიტიკანს,
ურცხვ შუბლზე აზის გარეტება;
კისერ-ღაბაბი მორგვად ექცა
და საყელოში არ ეტევა.

თუ შეტევაზე გადავიდა,
ვერ დაუდგება ილიონი;
დოლარის არის მოტრფიალე,
სურს, ჩაიჯიბოს მილიონი.

ემზარ კვიტაიშვილი

„ᲛᲧᲠᲐᲚᲐ“ ᲮᲠᲔᲨᲩᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘᲓᲐᲜ

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ **იმისა, რომ ეს ცხოველი ჩვენში არ ბინადრობს, ეგზოტიკის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ატლანტიკის ოკეანის გადაღმა, ამერიკის კონტინენტზე სკუნსი ბევრგან გვხვდება. ეს პატარა არსება, უპირველესად, ერთი განსაკუთრებული თვისებით გამოირჩევა: ქუდქვეშ, ანუსთან, მას განსაკუთრებული, ლაყე კვერცხის უმძაფრესი სუნის მსგავსი ნაკადის გამომყოფი ჯირკვალი აქვს. ნებისმიერი საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში სკუნსი ამ მყრალ სითხეს მტრის მიმართულებით აფრქვევს, რაც ამ უკანასკნელს იძულებულს ხდის — თავს გაქცევით უშველოს.**

სკუნსის ეს ჭეშმარიტად გამორჩეული თვისება ფაუნის არაერთი წარმომადგენლის (მათ შორის, დიდი გულისტკივილით უნდა ვაღიაროთ, რომ ადამიანიცაა!) შურის მიზეზია. ამ მხრივ კიდევ უფრო მეტად გულსატკენია, რომ ამის სუნი ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსისთვისაც ძილისა და მოსვენების დამკარგავია.

მაგრამ, თუკი ცხოველისთვის სითხის მყრალი ნაკადის მოწინააღმდეგეზე მიშვება თავდაცვის აქტია, პოლიტიკოსებში ის პირიქით — შეტევის, ოპონენტზე იერიშის მიტანის იარაღია.

ამ მხრივ კი („სკუნსისებრ“ პოლიტიკოსებს ვგულისხმობ!) საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ტოლს არავის უდევს.

ამის თვალნათლივი მაგალითია მისი საქართველოში უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩზე იგორ დოლგოვზე ცოტა ხნისწინანდელი თავდასხმა.

ეს ამბავი მკითხველისთვის უკვე ცნობილია: უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც ამ თითქოსდა მეგობარ ქვეყანაში რეფორმების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაღალი ოფიციალური თანამდებობა უკავია, თავხედურად, უხეშად და მოურიდებლად ჩაერია საქართველოს შინაგან საქმეებში: ეროვნული დაუმორჩილებლობისადმი მისი საჯარო განცხადება არ შეიძლება სხვაგვარად შეფასდეს, თუ არა სახელმწიფო გადატრიალებისა და რევოლუციისადმი პირდაპირი მოწოდება.

„თუკი ჩვენ მომავალშიც შევიქმნით ილუზიას, თითქოსდა საქართველოში კვლავაც არსებობენ სახელმწიფო, სახელისუფლებო ინსტიტუტები, კანონი, და რომ ჩვენ ძველებურად უნდა ვემორჩილებოდეთ ამ კანონებსა და სახელმწიფოს, მაშინ ვერც საკუთარ თავს ვუშველით და, პრაქტიკულად, დავეხმარებით ივანიშვილს ჩვენი სახელმწიფოს დასამარებაში“, — დაწერა სააკაშვილმა ფეისბუკ-გვერდზე.

და კიდევ: **„ჩვენ არ გადავიხდით ჯარიმებს, არ შევასრულებთ მათ რეგულაციებს, არ დავემორჩილებით მათ სასამართლოებს, არ შევუშინდებით რეპრესიებს, მათ შორის არც დაპატიმრებებს. იმის გამო, რომ დღითიდღე ჩვენ მეტნი ვხდებით,ყველას ვერ დაგვიჭერენ და რეპრესიებსაც ვერ მოგვიწყობენ — ჩვენ წელში გავტეხთ მათ სისტემას, რომელიც სრულ უკანონობასა და ძარცვაზეა დაფუძნებული!“**

კომენტარი, რომ იტყვიან, ზედმეტია!

ბუნებრივია, რომ უკრაინის ელჩი ბატონი დოლგოვი მაშინვე გამოიძახეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც, სავარაუდოდ, გაკვირვება გამოთქვეს იმის გამო, თუ რატომაა, რომ უკრაინის ხელისუფლება არაფერს აკეთებს საიმისოდ, რათა საკადრისი ადგილი მიუჩინოს თავს გასულ მაღალი თანამდებობის ჩინოსანს. საგარეო საქმეთა სამინისტროდან გამოსულმა ბატონმა დოლგოვმა ის თქვა, რაც დიდი ხნის წინათ უნდა განეცხადებინა, თუმცა ეს რატომღაც, არ გაუკეთებია. კერძოდ, მან, როგორც იქნა, იკადრა და კომენტარი გაუკეთა მიხეილ სააკაშვილის მრავალ წამქეზებლურ განცხადებას, რომლითაც ის ბოლო წლების მანძილზე მიმართავდა საქართველოს მოსახლეობას და მოუწოდებდა კანონიერად არჩეული ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობისაკენ.

„ბუნებრივია, რომ როგორც კერძო პირს, სააკაშვილს აქვს საკუთარი მოსაზრების გამოთქმის უფლება, მაგრამ ახლა, რაც საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ვითარება მეტ-ნაკლებად მოწესრიგდა და აქცენტები სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე კეთდება, დაუმორჩილებლობისა და უკანონო მანიფესტაციებისადმი მოწოდებები ჩვენ ბევრს ვერაფერს გვიშველის“, — დიპლომატიურად განაცხადა უკრაინელმა ელჩმა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ისტერიულ გამოხდომებთან დაკავშირებით.

ელჩის თქმით, მიხეილ სააკაშვილის მოწოდებები ხელს არ უწყობენ ორ სახელმწიფოს შორის ნდობისა და სტრატეგიული პარტნიორობის განვითარების ატმოსფეროს შექმნას.

ბატონმა დოლგოვმა ასევე დასძინა, რომ იმედოვნებს, რომ ერთი კონკრეტული პირის — უკრაინის ამჟამინდელი და საქართველოს ყოფილი მოქალაქის — აზრი, ამ ორი ქვეყნის მეგობრობას ზიანს არ მოუტანს.

„ჩვენ ძლიერი და ერთიანი საქართველო გვჭირდება, როგორც სტრატეგიული პარტნიორი. ესაა ჩვენი საერთო ინტერესი ისევე, როგორც სწრაფვა იმისკენ, რომ ერთმანეთისთვის ძლიერი და საიმედო მოკავშირეები ვიყოთ“, — აღნიშნა იგორ დოლგოვმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორთან გიორგი ზაქარაშვილთან შეხვედრისას.

ჰოდა, ამის შემდეგ ატყდა რაც ატყდა! „ხრეშჩატიკელი სკუნსი“ ქართველი და უკრაინელი საზოგადოებრიობის წინაშე მთელი თავისი „ბრწყინვალეებით“ წარსდგა, არც აცია, არც აცხელა და დოლგოვს იმაში დასდო ბრალი, რაშიც ყველა დროში ყველა ჯურის ავანტურისტი თავის ოპონენტს ადანაშაულებს — კორუფციონერობა დასწამა. თუმცა კი, თავისი ბრალდების დასტურად, სააკაშვილს არც ერთი ფაქტი არ მოუყვანია.

„საქართველოში უკრაინის ელჩად ბატონი დოლგოვი ოთხი წლის წინათ პოროშენკომ ერთადერთი მიზნით — ჩემს წინააღმდეგ საბრძოლველად — დანიშნა. იგი ზელენსკის დროს გადარჩა და ახლა განაგრძობს მოღვაწეობას საქართველოსა და მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში უკრაინის იმიჯის შესალახავად. ახლა იგი თავს დამატყდა იმის გამო, რომ მე ქართველი ხალხის თავისუფლებისთვის ვიბრძვი. თურმე ნუ იტყვით, და ეს ვნებს უკრაინულ-ქართულ ურთიერთობებს“, — დაწერა სააკაშვილმა ფეისბუკში თავის გვერდზე. — **„მე ვეცდები მივაღწიო იმას, რომ ასეთი ელჩები აღარც უკრაინას ჰყავდეს, აღარც საქართველოს და ამ საქმეს ბოლომდე მივიყვან. დოლგოვი ბრალს მდებს იმაში, რომ ქართველ ხალხს პროტესტის გამოხატვისა და „უკანონო“ დემონსტრაციების მოწყობისკენ მოვუწოდებ. და ასეთი ელჩი წარმოადგენს ქვეყანას, რომელმაც გადაიტანა ორი მაიდანი, რომლებზეც უკრაინელმა ხალხმა პროტესტი გამოხატა გაყალბებული არჩევნების გამო?! იგი ჩვეულებრივი საბჭოური ფუნქციონერია, რომელმაც როგორღაც მოახერხა და მაიდნის შემდგომ უკრაინელ ჩინოსანთა ამქარში გაერია“,** — ასკვნის სააკაშვილი.

ამბობენ, რომ თუკი სკუნსის გამოფრქვეულ მყრალ სითხეს ცივი წყლის ნაკადს მიუშვებენ, საშინელი სუნის გაუვნებელყოფა მაინც შესაძლებელია... ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც.

„უკრაინის დიპლომატია ყურადღების ღირსად არ თვლის მსგავს ინსინუაციებს და კვლავაც განაგრძობს ეფექტიან წინააღმდეგობას რუსეთის ჰიბრიდული აგრესიის მიმართ, მსოფლიოს დარაზმვას უკრაინის მხარდასაჭერად, ახალი ბაზრების გახსნას უკრაინელი ექსპორტიორებისთვის და საზღვრებს გარეთ თანამემამულეთა უფლებების დაცვას“, — ნათქვამია უკრაინის საგარეო პოლიტიკური უწყების კომენტარში.

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ასევე მოუწოდა თავი შეიკავონ უკრაინის მოქალაქე საჯარო პირებს მეგობარ უცხო სახელმწიფოში, საქართველოში, დაუმორჩილებლობის აქციების მოწყობის მოწოდებებისგან.

„ასეთი განცხადებები შეიძლება შეფასდეს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის შიდა საქმეებში ჩარევად. უკრაინის სახელმწიფოს არასდროს მიუმართავს ასეთი ქმედებებისადმი და არც მომავალში აპირებს მსგავს ჩარევებში მონაწილეობის მიღებას და კატეგორიულად წინააღმდეგია საერთაშორისო არენაზე მსგავსი მოქმედებისა“, — აღნიშნავენ უწყებაში.

ამდენად, როგორც ვხედავთ, „ხრეშჩატიკელ სკუნსს“ ცივი შხაპი გადაავლეს და თავაზიანად შესთავაზეს, რომ მოეკეტა.



დიდხანს კი გაყვება ეს შეგონება?

ᲕᲐᲓᲘᲛ ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐᲫᲔ,
გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ „ᲰᲐᲛᲐᲡᲘᲡ“ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲡ ᲰᲒᲐᲕᲡ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲡ ᲪᲝᲪᲮᲐᲚ ᲤᲐᲠᲐᲓ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ!

„ᲖᲣᲠᲐᲑ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ **აქციები „ჰამასის“ აქციებს ჰგავს — ახალგაზრდების ცოცხალ ფარად გამოყენება, აპელირება პოლიციის მიერ ძალის გამოყენებაზე და საერთაშორისო ყურადღების მიქცევა. შთაგონების წყარო, ეტყობა, მისი 2011 წლის სტატიაში უნდა ვეძებოთ, რომელშიც „ნაცმოძრაობის“ გამორჩეული აპოლოგეტი, მაშინ ჯერ კიდევ უბრალოდ ზურაბ ჯაფარიძე, პარალელებს ავლებს, დეტალურად აღწერს ტერორისტულად აღიარებული ორგანიზაცია „ჰამასის“ მოქმედების მეთოდებს“,** — ამის შესახებ ანალიტიკოსი **ᲖᲐᲐᲚ ᲐᲜᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ** სოციალურ ქსელში წერს.

მისი თქმით, დაუმორჩილებლობის აქციებში აქტიურად არიან ჩართული ის ახალგაზრდებიც, რომლებმაც „გირჩის“ დაარსებულ „ბიბლიური თავისუფლების“ ეკლესიაში გაწევრიანებით ჯარისგან დაიხსნეს თავი და ეტყობა რაღაც ვალდებულებების განცდა გააჩნიათ.

„ნაცებმა“ და მათმა დანაყოფებმა კიევიდან მათი ბელადის გზავნილი მიიღეს, რომ ამიერიდან ლიდერები იქნებიან მხოლოდ ისინი, ვინც ყველაზე თავზეხელაღებული, აგრესიული და მიმწოლი გახდება. დატრიალდნენ ბიჭები, ყველა თავისებურად ცდილობს მოაწონოს თავი „ფიურერს“. ზურაბ (გირჩი) ჯაფარიძე თავზეხელაღებულობაშიც ცდილობს „ორიგინალური“ იყოს. თუმცა მისი „ორიგინალურობა-კრეატიულობის“ შთაგონების წყარო ეტყობა მისი 2011 წლის სტატიაში უნდა ვეძებოთ, რომელშიც „ნაცმოძრაობის“ გამორჩეული აპოლოგეტი, მაშინ ჯერ კიდევ უბრალოდ ზურაბ ჯაფარიძე, პარალელებს ავლებს, დეტალურად აღწერს ტერორისტულად აღიარებული ორგანიზაციის „ჰამასის“ მოქმედების მეთოდებს და ნინო ბურჯანაძის ე.წ. „სახალხო კრებას“ შორის და ერთ დაფაზე აყენებს.

დღეს „გირჩი“ ჯაფარიძეც მშვიდად ზის „ტერორისტ“ ბურჯანაძის გვერდით „ფანჩატურში“ და ხელისუფლების დამხობის გეგმებს აწყობს. არადა, დაუმორჩილებლობის აქციები, რომელსაც ზურაბ (გირჩი) ჯაფარიძე წინამძღოლობს, ორი წვეთი წყალივით ჰგავს „ჰამასის“ იმ აქციებს, იმ განსხვავებით, რომ ჯერ რაკეტებს არ ისვრიან, რომლებიც დაწვრილებით აქვს განხილული სტატიაში. ეტყობა, სწორედ „ჰამასის“ ტაქტიკა — ახალგაზრდების ცოცხალ ფარად გამოყენება, უფლებადამცველებთან წუწუნი აპელირება პოლიციის მიერ ძალის გამოყენებაზე და საერთაშორისო ყურადღების მიქცევა.

ამ დაუმორჩილებლობის აქციებში აქტიურად არიან ჩართული ის ახალგაზრდებიც, რომლებმაც „გირჩის“ დაარსებულ „ბიბლიური თავისუფლების“ ეკლესიაში გაწევრიანებით ჯარისგან დაიხსნეს თავი და ეტყობა, რაღაც ვალდებულებების განცდა გააჩნიათ. რაც მთავარია, გამოცხადებული დაუმორჩილებლობის აქციები მხოლოდ და მხოლოდ ხმაურის ატეხას და სამართალდამცავების გამოწვევას ემსახურებოდა, რადგანაც დღეიდან კაფე-ბარ-რესტორნებზე შეზღუდვები ისედაც მოიხსნა“, — წერს **ᲖᲐᲐᲚ ᲐᲜᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ.**

სამწუხაროდ, თბილისში ვანდალები მომრავლდნენ!

თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა.

გუშინ თბილისში გვარიანად გათოვდა... დედაქალაქის ქუჩებში ტექნიკური მარილის დაყრა და გზის გაწმენდის სამუშაოები დილიდანვე დაიწყო. თბილისის ცენტრალურ ქუჩებზე შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ტექნიკა მუშაობდა, ხოლო შიდასაუბნო გზების გაწმენდით სამუშაოებში რაიონული გამგეობები ჩაერთვნენ.

„იყო კონკრეტული ლოკაციები, სადაც საცობები შეიქმნა. იმ ავტომობილების გამო, რომელთაც ზამთრის საბურავები არ ეყენათ, გზა ჩაიხერგა. თბილისის მერმა თხოვა ყველას, ვინც კერძო ავტომობილით გადაადგილდება, თუ ზამთრის სეზონის საბურავი არ უყენიათ, თავი შეიკავონ ქალაქში მოძრაობისგან, რადგან ეს საზოგადოებას გარკვეულ პრობლემებს უქმნის. უპირველესად, უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, ერთმანეთის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის უსაფრთხოებას. ამიტომ, მაქსიმალურად შევიკავოთ თავი გადაადგილებისგან, თუ ავტომობილებზე ზამთრის საბურავები არ გვაქვს“...

* * *

თბილისის მერმა ასევე განმარტა, რომ 22 თებერვლიდან დედაქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელს 180 ერთეული მიკროავტობუსი შეემატება.

„ჩვენ შევიძინეთ 300 მიკროავტობუსი. მიმდინარეობს ე.წ. ყვითელი მიკროავტობუსების ჩანაცვლება, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაშია და მგზავრებისთვის გადაადგილების თვალსაზრისით, პრობლემას წარმოადგენს — არაკომფორტულია და ყველანაირი რესურსი ამოწურული აქვს. შესაბამისად, ჩანაცვლების პროგრამა დაწყებულია. ორშაბათიდან უკვე დამატებით, 180 ერთეული მიკროავტობუსი გავა ხაზებზე და თბილისის მოსახლეობას მოემსახურება, რაც, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია“...

მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა ვანდალიზმის ფაქტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ 2020 წელს ვანდალიზმის მთელი რიგი შემთხვევები 168 მისამართზე აღირიცხა. დედაქალაქის მერმა ამ მიმართულებით საზოგადოებას მხარდაჭერისკენ მოუწოდა, რადგან პროცესში მოსახლეობის უფრო მეტი ჩართულობა და აქტიურობა მნიშვნელოვანია.

„მოპარული სკამები, განზრახ დამტვრეული საბავშვო ატრაქციონები, მოგლეჯილი ხელოვნური მწვანე საფარი და ლითონის ღობე, ხერხით გადაჭრილი სკამი, დამწვარი საბავშვო ატრაქციონები, განადგურებული უსაფრთხოების კამერები და სხვა. ეს არის ვანდალიზმის სამწუხარო ფაქტები, რომლებიც აღირიცხება დედაქალაქში და განსაკურებით ეს ყველაფერი ხდება იმ პარკებსა და სკვერებში, რომლებიც ახლადრეაბილიტირებულია, მოწესრიგებულია და ნამდვილად გულდასაწყვეტია. ამ მიმართულებით, მინდა ვთხოვო დახმარება და მხარდაჭერა საზოგადოებას, რადგან არის შემთხვევები, როდესაც მოქალაქეები პირდაპირ უყურებენ, თუ როგორ ამტვრევს მოზარდი ატრაქციონს, რომელიც ბავშვებისთვის არის განკუთვნილი და საერთოდ ყურადღებას არ აქცევენ. ვფიქრობ, საზოგადოებამ უფრო მეტი ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ. მაქსიმალურად ვცდილობთ ყველა იმ სივრცეში, რომლის რეაბილიტაციაც ხდება, უსაფრთხოების კამერები იყოს განთავსებული, მაგრამ საზოგადოების უფრო მეტი ჩართულობა, უფრო მეტი აქტიურობა მნიშვნელოვანია“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

თბილისის მერის განცხადებით, დედაქალაქის მერიის სამსახურები სხვადასხვა საინფორმაციო ხასიათის დამატებითი ღონისძიებების გასატარებლად მზად არიან.

* * *

დედაქალაქის მერმა თბილისში დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, ბაგები-უნივერსიტეტის ქუჩის საავტომობილო ხიდის მშენებლობაზე ტენდერი გამოცხადდა და გამარჯვებული კომპანია უახლოეს მომავალში გამოვლინდება.

ამ ხიდის მშენებლობას დაახლოებით 1.5-2 წელი დასჭირდება.

* * *

კახა კალაძემ სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით თბილისის მერიის სხვადასხვა პროგრამაზე ისაუბრა.

„ბოლო წლებში ბევრი კარგი პროექტი განვახორციელეთ იმისთვის, რომ დავეხმაროთ იმ ოჯახებს, მოქალაქეებს, რომელთაც ყველაზე მეტად უჭირთ. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ როგორც 2020 წელს, ასევე, 2021 წელს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი სოციალური და ჯანდაცვის მიმართულება გახლავთ. ყველა პროგრამას, რომელიც გვაქვს გამოცხადებული, არცერთი თეთრი არ დააკლდება იმისთვის, რომ დავეხმაროთ იმ ადამიანებს და ოჯახებს, ვისაც მუნიციპალიტეტის თანადგომა და სახელმწიფოს მხარდაჭერა ყველაზე მეტად სჭირდება. ვისმენთ ცრუ ბრალდებებს, თითქოს მერია ადამიანებს არ ეხმარება. ეს ძალიან დიდი ტყუილია. არ ვიკადრებ, კონკრეტულად ამ ადამიანების სახელებით და გვარებით მიმოწერები გავასაჯაროო. არ ვიკადრებ იმას, საზოგადოებას წარვუდგინო, რა დახმარებები აქვთ მიღებული, რამდენს იღებენ ყოველთვიურად, თუნდაც იმისთვის, რომ საცხოვრებელი ფართები აიღონ იჯარით“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე თბილისის მერიის თანამშრომელს ლალი უნაფქოშვილს აკადემიური პალმების ორდენის მიღება მიულოცა. ორდენი ლალი უნაფქოშვილს ქართულ-ფრანგულ ურთიერთობებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გადაეცა.

„მას დიდი წვლილი აქვს შეტანილი ქართულ-ფრანგულ ურთიერთობებში. კერძოდ, საფრანგეთის ქალაქ ნანტსა და თბილისს შორის ურთიერთობების გაღრმავებაში. სწორედ ამ დამსახურების გამო, საფრანგეთის ელჩმა საქართველოში, დიეგო კოლასმა, რამდენიმე დღის წინ ლალი უნაფქოშვილს აკადემიური პალმების ორდენი გადასცა. მინდა, მივულოცო მას ეს წარმატება. მეამაყება, რომ ასეთი თანამშრომლები ჰყავს თბილისის მუნიციპალიტეტს. მადლობა, რასაც ჩვენი ქალაქისა და ქვეყნისთვის აკეთებთ“, — განაცხადა კახა კალაძემ. აკადემიური პალმების ორდენი ერთ-ერთი უძველესი, პრესტიჟული ჯილდოა, რომელიც 1808 წელს იმპერატორმა ნაპოლეონ პირველმა დააარსა.

UMLAUT - გლობალური საკონსულტაციო კომპანია და მსოფლიო ლიდერი მობილური ქსელების ტესტირებაში საქართველოში საუკეთესოდ მაგთიკომის ქსელს აღიარებს

“Best in Test” - ასე აფასებს მაგთიკომის ქსელს დამოუკიდებელი გლობალური კომპანია umlaut-ი, რომელიც მსოფლიო ლიდერია მობილური ქსელების ტესტირებისა და შეფასების სფეროში.

umlaut-ის მიერ საქართველოს მობილური ქსელების დამოუკიდებლად ჩატარებულმა ტესტირებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მაგთიკომს ქვეყანაში საუკეთესო ქსელი აქვს.

მაგთიკომი “Best in Test” - სერტიფიკატი კომპანიას 2021 წლის 12 თებერვალს გადაეცა.

მაგთიკომის ქსელის საუკეთესოდ აღიარება 2020 წლის დეკემბერში საქართველოში მაგთიკომისგან დამოუკიდებლად ჩატარებულ ტესტირებას ეფუძნება. კვლევის არეალი მოიცავდა როგორც დიდ ქალაქებსა და რეგიონებს, ისე მაგისტრალებსა და დამაკავშირებელ გზებს.

umlaut-მა მაგთიკომის ხმოვანი და ინტერნეტსერვისის ხარისხის ტესტირება სხვადასხვა ტექნოლოგიების მიხედვით (LTE/UMTS/GSM) განახორციელა.

umlaut-მა ქსელის შეფასება მომსახურების 3 ძირითადი პარამეტრის მიხედვით მოახდინა:

- Voice - ხმოვანი სერვისის მიმართულებით (გაიზომა დარეკვის დრო, ზარების ხარისხი, ხმის გარჩევადობა)
- Data - მობილური ინტერნეტსერვისის მიმართულებით (შეფასდა მონაცემთა გადაცემის სიჩქარე, ხარისხი)
- crowdsourced quality - შეფასდა სხვადასხვა საერთაშორისო აპლიკაციების მომწოდებლების სერვერებიდან მიღებული მონაცემები.

მაგთიკომის ქსელი მომსახურების სამივე კატეგორიაში ლიდერობს საქართველოში, საუკეთესო შედეგებს აჩვენებს კონკურენტებთან მიმართებაში, გამოირჩევა ყველაზე მაღალხარისხიანი და სწრაფი მობილური ინტერნეტით და საუკეთესო ხმოვანი სერვისით.

“ვულოცავ მაგთიკომს მომსახურების ყველა კატეგორიაში ლიდერობას. მან საუკეთესო შედეგები აჩვენა როგორც მობილური ინტერნეტის, ისე ხმოვანი სერვისის და აპლიკაციების მოხმარების ხარისხის (crowdsourced quality) მიმართულებით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია COVID-19-ით განპირობებული გამოწვევების პერიოდში“, - აცხადებს Hakan Ekmen, umlaut-ის გენერალური დირექტორი.

იხილეთ umlaut-ის კვლევის მონაცემები და საქართველოში მოქმედი ოპერატორების ქსელების შეფასება.

umlaut-ი გლობალური, სრული მომსახურების მქონე, კროს-ინდუსტრიული კომპანიაა, რომელიც პროცესის საწყისი ეტაპიდან ბოლო საფეხურამდე მიყვანას უზრუნველყოფს და მომხმარებლებს საკონსულტაციო მომსახურებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით სთავაზობს.

50 ქვეყანაში არსებული umlaut-ის 20 საკონსულტაციო და საინჟინრო კომპანია, 4300 სპეციალიზირებული ექსპერტი და ინჟინერი ინოვაციურ გადაწყვეტებს და ტრანსფორმაციებს სთავაზობს სხვადასხვა ინდუსტრიებს.

best in test

For adding something on top in Georgia and reaching an overall score of 815 dots in mobile network benchmarking survey we proudly award this certificate to

MagtiCom Georgia

Score 815 out of 1000 in Total
Score 201 out of 320 in Voice Services
Score 432 out of 480 in Data Services
Score 182 out of 200 in Crowdsourced Quality

Hakan Ekmen
Chief Executive Officer Telecommunication

Best in Test 12 20

umlaut

სერტიფიკატი სრულად იხილეთ
https://www.umlaut.com/en/benchmarking
https://www.magticom.ge/files/202102_Georgia_Mobile_Benchmark_Certificate_umlaut.pdf
www.magticom.ge/umlaut

(პირველი გვერდიდან)

მაშ, რატომ ვივსებოდი ესოდენი პატივისცემით კედლებზე გამოფენილი ქართველ ქრისტიანთა სულიერი მოძღვრების – ადრეული წლების საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების სახებათა მიმართ?

ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ საქართველოში არ იყო ანტისემიტიზმი, დროდადრო ადგილი ჰქონდა ცალკეულ ანტისემიტურ ფაქტებს, როგორ არ ჰქონდა, მაგრამ იმ ოცდაექვსი საუკუნის განმავლობაში, რაც ებრაელობა საქართველოში ცხოვრობს, ქართველი ხალხი პირნათელია კაცობრიობისა და მომავლის წინაშე, მის სულს არ გაჰკარებია ანტისემიტიზმის ბაცილები. ქართველები იყვნენ სულით ხორცამდე ქრისტიანები, ჰყავდათ უდიდესი შვილები, ქრისტიანობისთვის თავდადებული, წამებულნიც კი, ადამიანები, მაგრამ სხვათა რწმენის იავარყოფა, შელახვა არ უცდიათ. იცავდნენ თავისას და სხვებსაც აძლევდნენ თავთავიანთი რწმენით ცხოვრების საშუალებას.

ერში ვინ ამკვიდრებდა ამ სულისკვეთებას? ვინ ჩაგონებდა მას კაცთმოყვარეობას, სხვათა მიმართ პატივისცემას, გამტანობას? რასაკვირველია, ეკლესია, ქართველი მღვდელმთავრები იყვნენ და რჩებიან ქართველი კაცის – ამ ქრისტიანული ერის – სულიერების შთამაგონებლად და მოდარაჯედ. განა, მათ არ იცოდნენ, შორეულ, თუ ახლო საუკუნეებში რელიგიათა ურთიერთობის შავი ფურცლები, განა მათ არ იცოდნენ რაოდენ ძლიერი გახლდათ ახალი ღმერთის მაძიებელ ებრაელთა წინააღმდეგ ბრძოლა, ისიც იცოდნენ რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე როგორ აწამებდნენ იუდეველთ, რამდენი ტანჯვა-ვაება გამოატარეს, მაგრამ სიკეთისკენ გახლდნენ მიდრეკილნი და ადამიანებს შორის მშვიდობიან ურთიერთობას ედგნენ დარაჯად. ეს გაცილებით რთულია, ვიდრე ადამიანებს, ერთა შორის ერესის გაღვივებაა. ისინი სიკეთისა და მშვიდობის რთული გზით მიდიოდნენ. ასე ზრდიდნენ თაობებს – ასე მოვიდნენ დღემდე და ჩემი დიდი პატივისცემა კედლებზე გადმოფენილ პერსონათა მიმართ, ამით გახლდათ განპირობებული.

იუდეის მეფეთა – დავითისა და სოლომონის სახელობის ძუჩები? მიზანს მივაღწიე: რამდენიმე ხანში ძალაძის მესვეურებმა სათანადო დადგენილებაც გამოიტანეს და 2007 წელს მეტეხის აღმართზე ძუჩებზე სახელის მინიჭების ცერემონიალიც შედგა. ამ დიდ ადამიანთა სახელის მისანიჭებელი შესაბამისი ადგილების ამ უბანში მოძიებაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მირჩია – ემანდ ბადრი პატარკაციშვილის შემწეობით, დავითის სახელობის ტაძარიც ჩავდგით და იქნებ, რაიმეს მიაკვლიოთო. მივაკვლიე და პირველი მას ვახარე. გახსნის ცერემონიალზე მობრძანდა, ჩინებული სიტყვაც ბრძანა, ისევე როგორც საქართველოს მთავარმა რაბინმა – არიელ ლევინმა.

ასე ვვიდოდით, ასევე უნდა ვიაროთ!

...მიკვირს ივანიშვილის მოთმინების ნიჭი...

ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო აქტივობა საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის ყურადღებისა და მადლიერების საგანია. და ეს სავსებით ბუნებრივია – არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ადამიანები განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ მის ამ მისწრაფებას. მეც კარგა ხანია მწადია, მადლიერება და პატივისცემა გამოვხატო ამ პიროვნების მიმართ იმ უშურველობის გამო, რაც საქართველოს ებრაელობის მიმართ გამოავლინა, მაგრამ თავს ვიკავებდი – მადლობის თქმა პოლიტიკურ პროცესში ჩაბმად, პოლიტიკურ აქტად არ ჩამეთვალოს-მეთქი. ჩვენებრ დაბალი კულტურის ქვეყანაში (არადა, ჯერ კიდევ მაშინ გვქონდა დიდი პოლიტიკური კულტურა, როცა...) ხომ ნათქვამს, ნაწერს ზოგჯერ ისეთ კუდს აბამენ, ისეთ მიმართულებას აძლევენ, თმა ყალყზე დაგიდგება. დღეს, როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ პროცესებს გაეცალა, განზე გადგა, შესაძლებლად მივიჩნიე, მადლიერებისა და პატივისცემის გამოხატვა. აზრის გაუკულმართებისგან, ალბათ, არც დღეს ვარ დაზღვეული, არ არის გამორიცხული, რომელიმე პირდაღებულმა ოყროყმა, აქაოდა, უპაუზო, ჩქარ-ჩქარა ლაპარაკი მეხერხებაო და პოლიტიკოსად მოაქვს თავი, ამ მადლობის გამოც შემომიტიოს, მაგრამ რა გაეწყობა – ამის გამო სათქმელზე უარს ვერ ვიტყვი – ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ ასპარეზს გაეცალა, ჩრდილში დადგა. ახლა იმასაც ამბობენ, შესაძლოა ისიც კი მოხდეს, რაც საქართველოში არაერთხელ მომხდარა – სამშობლოც დატოვოსო. დღეს, ამ ჩვენს აღავღავებულ არხებზე ბიძინა ივანიშვილზე საუბრებს რომ ვუსმენ, ჩემთვის ცხადი ხდება სამშობლოდან რა მიარბენინებდათ ადამიანებს, რომლებიც მის დიდებას ქმნიდნენ. ცხადდება ისიც, თუ როგორ მზადდებოდა მათი გადახვეწა.

მაინც ვიტოვებ იმედს, ბიძინა ივანიშვილისთვის ებრაული სამყაროსადმი გამოჩენილი ყურადღებისა და გაწეული ამაგის გამო, მადლობის თქმა პოლიტიკურ აქტად არ ჩამეთვლება.

ბიძინა ივანიშვილის სიმდიდრე არ მიკვირს – ადამიანი საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდა და თავისი ყოფა-წუთისოფელი ისე წარმართა, სიმდიდრემ მის წიაღში ინება დავანება. აქ არა მხოლოდ ადამიანის მიერ სიტუაციის განჭვრეტის ნიჭი, გააზრებული შრომა, სწორი ორიენტაციის შერჩევაა მთავარი, ზესთა ძალების ნება.

მიკვირს ბიძინა ივანიშვილის მოთმინების ნიჭი, მიკვირს, თუ როგორ უძლებდა მავანთა ლანძღვას, გამასხარავებას. ამით ხომ მას ყველაზე უარესი შედეგისთვის იმეტებდნენ: გულის გაჩერებიდან დაწყებული, ჭკუიდან გადადგომით დამთავრებული. და მაინც რაოდენ უშურველად აძლევდა და აძლევს ხალხს იმას, რაც ებოძა. ამგვარი ნებისყოფის ადამიანის ხელში დიდი სიმდიდრის მოძცევა სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი.

ებრაული კლასიკური მემკვიდრეობა ჩაგვაგონებს, რომ სამყარო სამ სვეტზე დგას. ესენია: თორა, ე.ი. სწავლა-განათლების გაძლიერება, შრომა და მადლის ქმნა, ე.ი. ქველმოქმედება. მე კი დავსძენ, რომ სამყარო არა სამ, ოთხ სვეტზე დგას, ესენია: სწავლა, შრომა, მადლის ქმნა და მოთმინება!.. ვიტყვი, მაგრამ ვინ შეისმენს, დამიჯერებენ?

ბიძინა ივანიშვილს ლანძღავდნენ, ამასხარავებდნენ. სამწუხაროდ, ასეთია ჩვენი „პოლიტიკური“ ცხოვრების წესი, ის კი მოთმინების, ძალთა რაოდენი დაძაბვის ფასად ინარჩუნებდა სიმშვიდეს. აქედან იბადება დასკვნა: თუ შენ გიყვარს სამშობლო და არა შენი პიროვნების რაობა სამშობლოში, გწადია, სიკეთეს სწიო, ყველაფერთან ერთად მოთმინების ძალაც უნდა გქონდეს.

მე იგი ბედნიერ ადამიანად მიმაჩნია, ისევე, როგორც ყველა ის, ვინც სალოცავს უშენებს ხალხს. გავა დრო, წლები, ყველას დიდხანს ეტარებინოს ამქვეყნიური სამოსელი, მაგრამ დადგება ჟამი, როცა ფიზიკურად აღარ იქნება ბ. ივანიშვილი, აღარ იქნებიან ისინი, ვინც დღეს, მის სახელს აგორგალებს, ლაზღანდარობს, მაგრამ იქნება საუბარი სამების ამგებისა – ბიძინა ივანიშვილის სახელი მუდამ იტრიალებს, რადგან ადამიანებისთვის ძვირფასია ალაგი, სადაც ლოცულობენ – ღვთის წინაშე ვედრებად წარსდგებიან და სულიერ სიმშვიდეს ჰპოვებენ.

მხოლოდ სამება – ქრისტიანული ტაძარი? ბიძინა ივანიშვილმა საქართველოში არსებულ ყველა მოქმედ, თუ მიტოვებულ ებრაულ სამლოცველოს, – სინაგოგას ჩამოუარა, განაახლა, ახალი სიცოცხლე შთაბერა. დღეს საქართველოში თითქმის არ არის სინაგოგა (გარდა თბილისის ბეით ქნესეთებისა, რომლებსაც ევროპაში მცხოვრებმა ბიზნესმენმა – დავით იაკობაშვილმა მოუარა) ბიძინა ივანიშვილის ხელი რომ არ შეხებია.

არ გამოვრიცხავ, გამოჩნდეს ამხირებელი კაცი: ქრისტეს რჯულის მიმდევარი იუდაისტური რწმენის ტაძარზე რატომ ზრუნავს, აშენებს და ამშვენებსო. ჩვენ დღეს სიამაყით აღვნიშნავთ, რომ დავით აღმაშენებელი ეკლესიაშიც შედიოდა, მეჩეთშიც და სინაგოგაშიც, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის პიროვნულ სიდიადეს, აზროვნების მასშტაბურობას. უბრალო მოკვდავთ ასეთი ნაბიჯის გადადგმა არ ძალუძთ. მე კი ამ ფაქტში დიდ სიბრძნეს ვხედავ: მლოცველი ადამიანი, სადაც არ უნდა ლოცულობდეს, სიმშვიდეს ასადგურებს – სულიერების დამამკვიდრებელი და გამავრცელებელია. ეს იცოდა, იმ დიდმა მეფემ, ამ ცოდნას შეჰყავდა ეკლესიაშიც, მეჩეთშიც და სინაგოგაშიც. ნიშნავს ეს იმას, რომ ეკლესიის მიმართ ნაკლებ გულმხურვალე იყო? რასაკვირველია, არა!

და როდესაც სახელმწიფოს პირველი პირი – ბ. ივანიშვილი ამგვარ ნაბიჯს დგამს, ავლენს მისი ერის უკეთესი შვილების დამახასიათებელ თვისებას.

და კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია: 2010, თუ 2011 წელს ცნობილმა თეატრმცოდნემ და საზოგადო მოღვაწემ, პროფესორმა ვასილ კიკნაძემ, ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“, რომელსაც ვრედაქტორობდი, წარმოადგინა სტატია ბიძინა ივანიშვილის მეცენატურ მოღვაწეობაზე, როგორც ამ ჩემს დიდებულ მეგობარს სჩვეოდა, ერთობ ცოცხლად, გულმართლად დაწერილი სტატია გახლდათ. რასაკვირველია, დასაბეჭდად მოვამზადეთ და მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, სტატიას თან დართვოდა ბ. ივანიშვილის ფოტო. ვერსად ვიპოვეთ, ვერსად მივაგენით. ჟურნალის დამკაბადონებელმა ორი დღე „იძრომიალა“ ინტერნეტში და იპოვა ერთი ფოტო. რაზე მეტყველებს ეს ფაქტი? ქველმოქმედი გასცემდა უხმაუროდ და ჩრდილში დგომას არჩევდა. დაფარული მადლის ქმნა კი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე აფიშირებული და გახმაურებული.

დიახ, დღეს მინდა ითქვას მადლობა იმ ადამიანის მიმართ, რომელიც ებრაულ სიწმინდეებსაც ავლენდა ხელს. იქნებ, ამის გამოც უთხრა დიდმა პოლიტიკოსმა შიმონ პერესმა ბიძინა ივანიშვილს: „თქვენ ებრაელი ხალხის მეგობარი ხართ!“

რობერტ სტურუას თავში ვის ჩაუხედნია...

უმაღლესი ხელისუფლისა და შემოქმედის ურთიერთდაპირისპირება იშვიათად დამთავრებულა შემოქმედის მარცხით. საამისო მაგალითები ჩვენს უახლოეს წარსულშიც არის. ამიტომ ძლიერ გამიკვირდა ის, რაც 2011 წელს რობერტ სტურუას თავს მოხდა – რუსთაველის თეატრიდან გააძევეს – გააძევეს იმ ტაძრიდან, რამლის წიაღში ლოცვით, არა მხოლოდ ამ ტაძარს, ქართულ კულტურას, მთელ საქართველოს მატებდა სახელსა და ღირსებას. გააძევეს იმიტომ, რომ არ ფარავდა იმის მოუწონლობას, რაც იყო, რაც მის ირგვლივ, მის სამშობლოში ხდებოდა. და აი, შედეგიც. მაშინ ვხუმრობდით: რობერტ სტურუამ დადგა სპექტაკლი, რომელშიც იმას, ვინც არ მოსწონდა, ათამაშა ყველაზე არასასურველი მმართველის როლი. სამწუხაროდ, ეს როლი მმართველმა თავად ირჩია. მის მიერ ასეთი როლის არჩევა გამიკვირდა: ისეთი გზა გამოიარა, უნდა სცოდნოდა, უმაღლესი ხელისუფლისა და შემოქმედის შერკინების ისტორიული შედეგები.

ამის შემდეგ ჩემს სამუშაო ოთახში – ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში, კარგა ხანს ეკიდა ერთობ გონებამახვილური პლაკატი: დაღრეჯილი, ლამის ცრემლდენილი რობერტ სტურუა გვეუბნებოდა: „მოიმხსნეს!“ ეს პლაკატი გია თევზაძემ მოიტანა და მის ცძერას რეჟისორისადმი თანადგომის აძტად აღვიძვამდი.

ხელოვანი ებრძოდა იმას, რაც არ მოსწონდა, რაც დაგმობის, უარყოფის ღირსად მიაჩნდა.ეს სრულიადაც არ გახლდათ მოულოდნელი: რ. სტურუა თავისი შემოქმედებით ებრძოდა ძალადობას, მმართველებს, მონარქებს, ვინც ხელისუფლებას არა ხალხის კეთილდღეობისთვის ბრძოლის ასპარეზად, არამედ ღვთისგან ნაბოძებ უპირატესობად მიიჩნევდა.

და დღეს ხშირად, ლამის ყოველდღე ვკითხულობთ სტრიქონებს, რომელშიც კვლავაც თავის გზას ადგას: იბრძვის, ამხელს. ვკითხულობ იმასაც, ვიღაც უბირი როგორ ლანძღავს, წყევლა–კრულვას უგზავნის ჩემთვის ესოდენ ძვირფას შემოქმედს: შე ასეთოო, შე ისეთოო, შე ამნაიროო, შე იმნაიროო და თავისი უვიცობით, რობერტ სტურუას კიდეც არ იცნობდე, მის გვერდით დაგაყენებს. მე კი ძლიერ მწადია, რობიკოს ვუთხრა: ადამიანებს, რომლებსაც შენი ფეხის ფრჩხილის ფასი არ ადევთ, თავს ნუ ალანძღვინებ, შენ სხვაგან ხარ, ეგენი კი... ვერ ვუთხარი, უფრო სწორად, აღარ ვუთხარი და აი, რატომ: კი, მართალია, რეჟისორი კვლავ იბრძვის, კვლავ გმობს იმას, რაც არ მოსწონს, სურს, რომ თავის ქვეყანაში ყველაფერი თავის ადგილას იყოს: პოლიტიკას ქმნიდნენ, მართლა პოლიტიკისთვის ქმნილი ადამიანები და არა პოლიტიკური ავანტურისტები, რომლებიც ასე მოგვეძალნენ. ეს ყველაფერი ხომ ზედაპირზეა, თვალხილულია, კი, ყველაფერი ეს არის, მაგრამ სულ დამდევს ფიქრი, რომ რობერტ სტურუა ამჯერადაც სპექტაკლს დგამს, ამჯერადაც რაღაცას ქმნის – ახალს, მოულოდნელს, დროის ტენდენციის გამომხატველს. – რობერტ სტურუას თავში ვის ჩაუხედნია, მე რომ ჩავიხედო!



გურამ ბათიაშვილი

პანდემიის რეფლექსიები

პანდემია. შოკი. დაბნეულობა. სამყაროს დასასრული? რა უნდა ვაკეთო?

ინსტინქტურად დავიწყე რაღაცის კეთება.

ვიცოდი თუ არა, დასაწყისში რა გამოვიდოდა? რას „ვთამაშობდი“ ფანქრით, კალმით?

არა, არ ვიცოდი. ერთმა შვა მეორე.

გარემოებამ შვა განწყობილება და ამ უჩვეულო სიტუაციაში დამეხმარა „მომეკლა დრო“.

ერთი კი ცხადია, ეს ალბომი არ შეიქმნებოდა, თუ არა მისი წინამორბედი ალბომი — „მოცალეობის ჟამს“.

ალბომი სამენოვანია და შეიცავს 200-მდე ესკიზს.

ალბომს დართული აქვს ფილოსოფოს დავით ანდრიაძის უაღრესად საინტერესო ბოლოსიტყვაობა „დედამიწის სიზმრები“.

ვახტანგ დავითაია.
2020. მარტი-აგვისტო

შედევრი 86 წლის ასაკში,

ანუ რას აკეთებენ მუზები პანდემიის ჟამს?

როცა ქვემეხები ქუხან, მუზები დუმანო.

არ მჯერა.

ბატონმა ვახტანგ დავითაიამ დაგვარწმუნა, რომ მუზებს ვერც პანდემია შეაშინებთ.

გამოჩენილმა არქიტექტორმა წინ დაგვიდო წიგნი — ალბომი, რომლისთვისაც „პანდემიური რეფლექსიები“ დაურქმევია.

2020-ით თარიღდება არა მხოლოდ წიგნი, არამედ მასში შესული თითოეული არქიტექტურული ესკიზი თუ ჩანახატი, უფრო ზუსტად, არქიტექტურული ფანტაზიები.

წიგნ-ალბომს რამდენიმე განყოფილება აქვს.

ზოგიერთი მათგანის დასახელებაც კი ინტერესს გაგიღვივებთ:

„ვარიაციები გაუდის თემაზე“, „გამჭვირვალე კედელი“, „მშვენიერება“, „სამლოცველო“, „აღმაფრენა“...

* * *

ბუნებრივად გამახსენდა:

ხანდაზმულმა გრიგოლ აბაშიძემ გამოაქვეყნა ლექსი „არყოფნისაკენ“, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო.

მურმან ლებანიძემ ხსენებულ ლექსს მიუძღვნა რეცენზია — ესე, რომელიც ასე დაასათაურა: „შედევრი 80 წლის ასაკში.“

დღეს შეგვიძლია, თამამად მივბაძოთ ძვირფას პოეტს, ვინც კარგად იცოდა ვახტანგ დავითაიას მოღვაწეობის ფასი და დიდ პატივსაც მიაგებდა.

შედევრი 86 წლის ასაკში!

შედევრია თვითონ წიგნი-ალბომი, როგორც მთლიანობა — ფორმისა და შინაარსის იშვიათი ჰარმონიით, ფორმატით, დიზაინით, პოლიგრაფიით...

* * *

კოვიდის მძვინვარების ჟამს, ხშირად ვფიქრობ ჩვენს მხცოვან ხელოვნებაზე. ხშირად ამაფორიაქებს ხოლმე კითხვა: რას აკეთებენ ახლა ისინი — სახლებში გამოკეტილნი, საყვარელ საქმეს მოწყვეტილნი.

აი თურმე რას აკეთებენ?!

რაზე აღარ უფიქრია არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას?!

რა აღმაფრენა აღარ სწვევია?!

მშვენიერებისთვისაც კვლავ რამოდენა ხარკი გადაუხდია?!

აქ ისევ მურმანის ლექსი გაგახსენდება: „სუნი — საზოგადოდ ქალის, სუნი საზოგადოდ მდედრის“...

* * *

გაივლის წლები.

მომავალი თაობები ნახავენ ამ წიგნ-ალბომს.

მჯერა, ის მათ ფანტაზიას გაუღვივებთ და ახალი შემოქმედებითი იმპულსებით აღივსებიან.

იმის მაგალითსაც იხილავენ, თუ როგორ შეიძლება ახალგაზრდული სულის შენარჩუნება 86 წლის ასაკშიც.

* * *

ერთხელ ვახტანგ დავითაიამ საკუთარი შემოქმედებითი მრწამსი ასე გამოთქვა: „არ არის საკმარისი, იყო ნიჭიერი, იყო პროფესიონალი. თუ სულით პოეტი არ ხარ, ღირებულ ნაწარმოებს ვერ შექმნი.“

ამ მრწამსის გამოხატულებაა მისი ახალი წიგნი-ალბომიც.

ფილოსოფოსი დავით ანდრიაძე ბოლოთქმაში შემთხვევით არ იმოწმებს შელინგის აზრს, — არქიტექტურა გაყინული პოეზიაა, თუმცა, მე ამ ფრაზის ოდნავ განსხვავებული თარგმანი მირჩევნია: „არქიტექტურა გაქვავებული პოეზიაა.“

მთავარი კი ისაა, რომ ვახტანგ დავითაიას ახალი წიგნი-ალბომი ღვაწლმოსილი არქიტექტორის პოეტური სულის კიდევ ერთი გამოვლინებაა და აქ პოეზია არც გაყინულია და არც გაქვავებული.

* * *

ნიჭი, პროფესიონალიზმი, პოეტური სული.

ვახტანგ დავითაიას მრწამსში კიდევ ერთი აუცილებელი თვისება იგულისხმება: ღრმა ეროვნულობა.

ეს თვისება ახალ წიგნ-ალბომსაც მსჭვალავს.

იქაც კი, სადაც ვარიაციები ფრენკ გერის თემაზეა, შორეულ სიმაღლეზე ქართული ტაძრის გუმბათი ილანდება.

ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რითაც ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია ვახტანგ დავითაია — არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი და თხემით ტერფამდე ქართველი.

იოსებ ჟუმბურიძე



















გაჩნდა თუ არა იმედის ნაპერწკალი ბიზნესში?

როგორი მოლოდინი აქვს ბიზნესს პოსტპანდემიურ პერიოდში და რას ელის შეზღუდვების გაუქმების შემდეგ? ამასთან დაკავშირებით ეკონომისტებისა და თავად ბიზნესმენების აზრი ორად იყოფა. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ დადებითი ტენდენციები აუცილებლად იქნება, ბიზნესი კი პოზიტიურ ცვლილებებს ჯერ არ ელოდება.

დისტრიბუტორთა ასოციაციის თავმჯდომარის **ივა ჟყონიას** აზრით, 2021 წელი გაცილებით უფრო რთული იქნება, ვიდრე შარშანდელი.

„მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა წლიდან წლამდე ეცემა. კომპანიებში რეალიზაციაც წლიდან წლამდე იკლებს და მუშაობის გაგრძელება, განსაკუთრებით პოსტპანდემიურ პერიოდში, ძალიან რთულდება. ბოლო 6 წლის განმავლობაში ლარი 100%-ით გაუფასურდა, შესაბამისად, გაზრდილია ფასი თითქმის ყველა პროდუქციაზე, მათ შორის ადგილობრივ წარმოებაზე.

გაზრდილია გადასახადი ელექტროენერგიაზე, გაზზე, ეს ხომ ჯერ არ არის ასახული და რაღაც პერიოდში აისახება. გასაგებია, რომ ჯერ სუბსიდირება მოქმედებს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ არანაირი გეგმა არ არსებობს. ამ სუბსიდირების დასრულების შემდეგ რა გველოდება? ბიზნესი ფასებს როგორ შეინარჩუნებს?

ამიტომ ვფიქრობ, ეს წელი გაცილებით უფრო რთული იქნება, ვიდრე 2020. საუბარი იმაზე, რომ ქვეყანაში ყველაფერი სწრაფად აღდგება და ნორმალური ვითარება შეიქმნება, არის აბსურდი. შარშან კიდევ რაღაც ნარჩენი იყო რესურსის და ამ თანხების ხარჯვა ხდებოდა, მაგრამ დღევანდელი ვითარება განსხვავებულია და ბევრია საფიქრალი და თავსატეხი... თუ გამოსავალზე ვფიქრობთ, არაერთხელ მითქვამს, რომ ბიუროკრატიული ხარჯების შემცირება არის პირველი გამოსავალი“, — აღნიშნა „ბიზნესპრესნიუსითან“ ივა ჟყონიამ.

შედარებით ოპტიმისტურად არიან განწყობილნი ეკონომისტები. მართალია, ისინი ფასების ზრდას პროგნოზირებენ, თუმცა ბიზნესის განწყობის მიმართულებით ოპტიმისტურ მოლოდინს ამჩნევენ. „აისეტის“ კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი ეკონომისტი **გიორგი პაპავა** აღნიშნავს, რომ ბიზნესთან ერთად ადამიანებიც შეძლებენ გარკვეული შემოსავლების აღდგენას.

„ზოგადი განწყობა არის ერთმნიშვნელოვნად ფასების ზრდის მოლოდინის მიმართულებით. ერთადერთი, სამშენებლო სექტორმა ეს მოლოდინი არ დააფიქსირა, რაც ჩემი აზრით, განპირობულია იმით, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ფასების მნიშნელოვანი კორექტირება არ მომხდარა და ალბათ, ელოდებიან, რომ კლების მიმართულებით კორექცია მოხდება, მომავალი კვარტალის განმავლობაში.

სხვა ყველა სექტორში შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოლოდინი ფასების ზრდის მიმართულებით არის. ამის მიზეზი შეიძლება იყოს, ერთი მხრივ ის, რომ მწარმოებლებს უძვირდებათ პროდუქციის მიწოდება ბაზარზე, რომელსაც ისინი აწარმოებენ და თანაც შეიძლება მოლოდინი ჰქონდეთ, რომ დღევანდელ მდგომარეობასთან შედარებით, გაუმჯობესდება მოთხოვნა მას შემდეგ, რაც უკვე ეკონომიკა გაიხსნება და ადამიანები შეძლებენ გარკვეული შემოსავლების აღდგენას. ეს ორი ფაქტორი, განაპირობებს ბიზნესში ფასების ზრდასთან დაკავშირებით მოლოდინს“, — განაცხადა პაპავამ.

ინდექსი დღეის მდგომარეობით არის 3,4-ზე და ის დადებით ნიშნულზეა, თუმცა გაცილებით დაბლაა თუნდაც 2019 წელთან შედარებით. ბოლო 4 წლის განმავლობაში აღნიშნული ინდექსი გაცილებით მაღალი იყო.

მიუხედავად ამისა, როგორც „აისეტში“ ამბობენ, ეს არც იმას ნიშნავს, ბიზნესს საოცარი მოლოდინი უნდა ჰქონდეს ან ამან შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეცვალოს ეკონომიკური სურათი, რადგან პოსტპანდემიური პერიოდი საკმაოდ რთული იქნება.

ბექა დანელია

ლექსი – მათრახი!

ემზარ კვიტაიშვილს მკითხველი უწინარესად იცნობს როგორც კაზმული სიტყვის ოსტატს, ჩინებულ ლიტერატორს, წმინდა წყლის ლირიკოსს, მაგრამ ჩვენი ყოფის უკულმართობამ ლირიკოსი პოეტი ამჯერად დაუნდობელ სატირიკოსად აქცია, და პოეტმა სიტყვა გაამათრახა და ამ გამათრახებული სიტყვით იმ მავანთა და მავანთ ამათრახებს, ვინც პირადულს საზოგადოებრივს უპირისპირებს, რა თქმა უნდა, გამორჩენის მიზნით.

ქვემოთ სწორედ პოეტის ახალ მათრახ ლექსებს გთავაზობთ.



ემზარ კვიტაიშვილი

პუბლიცისტური ლექსები

ასალაგმავები

რა სახეები და რა ხმებია! –
ავტორი მრავალ სისხლიან ფურცლის...
ჯერ საქართველოს არ მოსწრებია,
ორფეხთა ხროვა, ამაზე ურცხვი.

ერთ ტყუილს იმეორებენ ასჯერ,
ცოფშეყრილები რას არ ბედავენ;
ვერ მოიფიქრებს საზღაურს, სასჯელს,
რომ მიუყენო იმათ მეთავეს.

სიძულვილს სთესენ დღითა და ღამით,
დაძრწიან, გაჩენილნი გველებად;
მათ რომ მოწამლეს, გატენეს შხამით,
იმ ახალგაზრდებს რა ეშველებათ?!

გვეყო, მოვუხმოთ გონებას ფხიზელს,
დღე მრისხანების, განკითხვის, დადგა;
მზაკვართა ბუდე მოისრას ისე –
აღარაფერი არ დარჩეს მათგან!

ქვებუდანების ნამდვილი სახე

ყველამ იცის, როგორაც
იმოძრავეს ნაცებმა,
მიზანია იმათი –
ხალხის სულის გაცხება.

საქართველოს, ხომ ვნახეთ,
რაც მიართვეს „ნობათად“,
იყვნენ დიდოსტატები
წამება-მკვლელობათა.

ბრბო დაბღავის ქუჩაში,
ბოროტთა მოშხამული,
უნდათ, ძირფესვიანად
ამოაგდონ მამული.

არეულობათა დიდოსტატები

სიკვდილის მოგვეღირე, ცელო,
მტერს და ავს ამის პატიება;
დააპინტრიშეს საქართველო
სისხლის მწოველმა პარტიებმა.

მოტყუებული ხალხი გმინავს,
ბილწთა მეთავე ნაცებია;
ზღაპარს ჰგავს, დაგვიბრუნებს ვინა,
რაც უკვე მონატაცებია?!

ნაცნობი ხელწერა

უკეთურები, წაღმა ნაკეთებს,
ხედავენ ყირამალა;
გაქსუებულთა უნამუსობას
არ გააჩნია შკალა.

რას არ ჩმახავენ, მუდამ ცდილობენ –
დაგგესლონ, დაგცენ ელდა;
აქეთ გიტევენ, ბოლო არ უჩანს –
ბრალდებებს დასასჯელთა.

პასუხი არ ჩანს

„როდემდე, ჩემო საყვარელო მიწა-წყალო,
მომეც ამის პასუხი.“
ილია

გვიღრენს უკრაინიდან –
თავს დაგვამხო ჭერი,
ყველა დროის ყველაზე
საზიზღარი მტერი.

ბევრი მონად დაუდგა,
აქვთ განზრახვა მტრული -
საფლავს გვითხრის სუყველა,
მისი მონატრული.

აღვდგეთ, თორემ დაგვიტანს
ნანგრევების გროვა;
საქართველო, დაშლილი,
გონზე როსღა მოვა?!

გაუკუღმართებულნი

ავსულს ეთაყვანებით,
ავად გიჩანთ კარგი;
მოისვენეთ, აღარ გვყავს,
უკვე, „ოლიგარქი!“

ატრიალა, აბრუნა –
ამ ცხოვრების ჯარა;
ყველაფერი, რაც ჰქონდა,
მამულს მოახმარა.

თქმულა, ზღვაც შეიძლება,
მცირე კოვზით დაშრეს;
ნუთუ ვერ ვეღირსებით,
ქართველები საშველს?!

შუბლზე მიიწებონ

ვიხილეთ ფსევდო-ლიდერები,
თმას იწიწკნიდნენ ღერა-ღერა;
სასახლის ბაღში აგროვებდნენ –
ხელმოცარულთა ხელმოწერას.

არ მოისვენეს, კობახიძემ
სანამდი ბდღვირი არ ადინა;
„მემორანდუმად“ გაასაღეს –
ფშუტე ქაღალდი, ფარატინა.

მეოთხე რაუნდის ბოლო

(ქაოსისკენ მიგვაქანებენ)

თავი აიშვეს ბანძებმა,
რისი რიდი და კრძალვა?!
რას იკრიჭება ნეტავი
ნათელაშვილი შალვა?!

ჯობია, მიწა გაუსკდეს,
ვინც სააკაშვილს მონებს;
იდიოტურად მომღიმარს,
უშვერენ მიკროფონებს.

ვინ მოთვლის, შესაძენია
რამდენი ჯაჭვი, თოკი...
დავაბათ, გასაკოჭია –
ცრუ ჟურნალისტთა ჯოგი.

კრიზისის დადგომას ნატრობენ

ჩვენს ედემში შხამიანს
ნუ ვახარებთ სოკოს;
მისი თესლი, ჯილაგი
არვინ არ დაზოგოს.

სივერაგე, სიფლიდე
ნაცადია ნაცთა;
ძარცვა, უნამუსობა –
ყველა საზღვარს გასცდა.

ამ ტინგიცებს მუგუზლით
უნდა მოსწვათ დინგი;
მალე დავა ნულამდე
მათი რეიტინგი.

ქვეყნის დამაქცევარნი

(ნაწყვეტი ტელერეპორტაჟიდან)

მუქთამჭამელებს ეზრდებათ ფაშვი,
აგვიკლეს შხამიანმა ვირთხებმა;
გაგვაგებინეთ, ამ უდუმაშვილს
საქართველოს ბედს ვინ ეკითხება?!
ბურჯანაძესაც და უდუმაშვილს –
ყოფნა შეჰფერით უფრო დუმაში.

გაშმაგებულთა საბოტაჟი, ანუ სტაჟიანი პროვოკატორები

მიწას სჭირდება კაცის ხელი,
სამშობლო – ვაზი, ვენახია;
ესენი შლეგურ გაჩმახებას
„საქმიანობას“ ეძახიან.

შანთი თვითონვე გაიყარეს,
სინდისიც კარგი საქონია;
ყოვლად ნათელი, ცხადი არის,
თუ ვის შეენთო აგონია!

აგენტობას სხვას სწამებენ

ტურებივით რომ დასუნსულებენ,
დამარცხდნენ ყველა ტურში;
ფანჩარს იგლეჯენ ნაცლიდერები
„შალიკოს ფანჩატურში.“

ურჩევთ, „ბელადი,“ გადახვეწილი,
მახვილის არჩაგებას;
ვერ გრძნობენ – ეშმაკეულთან ერთად –
რომ დარჩნენ ფარჩაკებად.

მტკნარი სიცრუე, შანტაჟი მათი,
სანამდი ვზიდოთ ხარკად?
ქვეყანა ხედავს, ჯვარი დაესვა
ამ უბადრუკთა ფხარკალს.

სამარცხვინო სამაია

გული წუხდება, როცა ალქაჯი
იქცევა ავაზაკივით;
ისევ ხათუნა გოგორიშვილი
დაგორაობს და გაჰკივის.

ტელეეკრანზე, დილაადრიან,
ისმის ლანძღვა და გნიასი;
სამსალა, საწამლავია არხი –
ინგასი, გრიგოლიასი.

ღმერთო, გვიშველე, საქართველოში
რა სიბინძურე აგორდა;
ზედვე ეტყობა, რომ გვარამია
გადასკვნილია ამ ორთან.

ეგღა გვაკლდა

ფრონცქობს, პოლიტიკოსობს
ინტრიგანი დიაცი,
ეგ რა ლელოს გაიტანს,
რისთვის შეჰყავთ სიაში?
ქოთავს მავნე ფიქრები –
ჩიხრაძის, ფიქრიასი.

შეგაძულებს საქალეთს
ყველა, ვინც მას ედარა,
შხამიანს და ტვინდახშულს,
მიზანი აქვს ნეტა რა?
აგვაშენებს ამ კვერნის
მოსვლა პარლამენტარად.

შეხმიანება წასულ მეგობართან

(აკაკი ჩავლეიშვილი შეურაცხყვეს)

ზოგი სახეს იხოკავს და
ზოგიც – თმას იწეწავს,
მონა, ტვინდაბნელებული,
კაცს ეძახის მეძავს.

გაქცეულ კერპს, ჩამოდიო,
სთხოვენ, ისმის ტაში...
ეს რა ხდება, ძმაო ფრიდონ,
ამ ჩვენს აჭარაში?!

საძაგლობათა ბუდე

(სიბინძურე მოედინება)

დღემდე „მთავარად“ წოდებული
ეს მომწამლავი ტელეარხი,
რუპორი ქვეწარმავლებისა,
არის პირწმინდად დასამარხი.

გათენებიდან გესლის ნთხევა
იწყება და არ ბოლოვდება,
საქართველოში მათი გუნდი
არის მთავარი ბოროტება.

„ივანიშვილის რეჟიმიო,“
რომ გაჰკივიან თვალთმაქცები,
ისიც იკითხონ, რამდენს ითმენს –
მამული, მათგან დანაქცევი.

საკითხავია

(სულხან მოლაშვილის მოსაგონებლად)

სააკაშვილი, ბარამიძე,
მერაბიშვილი, ბოკერია
და სხვა ჯალათნი, ჩემო ხალხო,
მითხარი, რითი მოგერია?!

ზნედაცემულებს, მათნაირებს,
ნეტა როგორ შობს დედის საშო,
ავაზაკები, სადისტები,
სანამდე გინდა, აპარპაშო?!

მოციქულები ბოროტების,
რა ბნელმა ძალამ მოგვისია,
მათგან მოკლულთა, წამებულთა,
რად არ ქვეყნდება დიდი სია?

უმადურთაგან

მინდა, ვუთხრა: „საქციელი
კაცისას არ გიგავს!“
ათასჯერ ჯობს კიკაბიძე –
მარგველაშვილს, კიკას...

სასიკეთო არაფერი გეტყობათ

რიჟა „ლიდერი“ ცალკე გაიჭრა,
რაღა გირჩიო „გირჩო?!“
ვატყობ, აპირებ, თავი ნაცების
ჭაობში რომ დაიხრჩო.

ამასვე გეტყვით, დანარჩენებო,
არ იცით ანა-ბანა!..
სანაგვეზეა გადასაყრელი
ნეხვები თქვენისთანა.

რამ დაგიგროვათ ბოროტ გულებში
ამდენი ღვარძლი, შური?!
რა ჭირი გეცათ, რომ არ თავდება –
ხვანცალი ვაშაძური?!

მსოფლიო ცნობადობის მოჭადრაკე, წარმოშობით ბაქოელი გარი კასპაროვი, რომელიც ამჟამად 57 წლისაა, 2013 წლიდან აშშ-ში ცხოვრობს. მანამდე ის რუსეთში ოპოზიციური მოძრაობების მონაწილე გახლდათ, გმობდა რუსეთის შეჭრას უკრაინაში. 2014 წლის მარტში მის მიერ დაფუძნებული საიტი იქცა ერთ-ერთად იმ რესურსებიდან, რომლებიც „როსკომნადზორმა“ რუსეთის გენერალური პროკურატურის მოთხოვნით სასამართლო განხილვის გარეშე დაბლოკა.

„უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ რუსული ტელევიზიის სამი „ტროას ცხენი“ აკრძალა. ეს კარგი მაგალითია იმისა, რა ბედი უნდა ეწიოს დასავლეთში პროპაგანდისტულ სააგენტოებს „Russia Today“ და „Sputnik“, — წერდა კასპაროვი რამდენიმე დღის წინ Twitter-ში.

გამოცემა „Украинская правда“-სთვის მიცემულ ინტერვიუში კასპაროვმა ისაუბრა რადიკალიზიაციაზე აშშ-ში, როგორც მთელი მსოფლიოსთვის საფრთხის შემცველ „ვირუსზე“, იმაზე, თუ როგორ აპირებს ამ პრობლემის გადაჭრას ახალი პრეზიდენტი ჯო ბაიდენი და რით გაუსწორა მან ანგარიში „მემარცხენეებს“ არჩევნებში გამარჯვებისთვის, იმაზე, როგორ „შურდა“ მის წინამორბედ დონალდ ტრამპს პუტინის, სი ცზინპინის, კიმ ჩენ ინისა და ერდოღანის სტილის „strong men“-ების, იმაზე, როგორ მოქმედებს რუსეთის პოლიტიკური აგენტურა მთელ მსოფლიოში, ოპოზიციონერ ალექსეი ნავალნისთან მის მთავარ უთანხმოებებზე და მთელ რიგ სხვა თემებზე. „აქცენტი“ ამ ინტერვიუდან ამონარიდების თარგმანს გთავაზობთ.

„პუტინის რუსეთი დინოზავრია - უზარმაზარი სხეულითა და პატარა ტვინით“

„მიიღო რა განუზომლად დიდი ძალაუფლება, ტრამპმა მისი ტრანზაქციად გამოყენება დაიწყო, ანუ „შენ - მე, მე - შენ“

გარი კასპაროვი: პრეზიდენტად ტრამპის გადარჩევას შესაძლოა, რეალური საფრთხე შეექმნა დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურობისთვის, რადგან აშშ-ის რესპუბლიკური პარტია დიდწილად ტრამპის პარტიად იყო გადაქცეული და ძალიან არასასიამოვნო იყო თვალის დევნება პიროვნების კულტის ელემენტებისთვის ამერიკული შესრულებით (თუმცა სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერება და ოვალური კაბინეტის მეპატრონის ხელში კონცენტრაცია დიდი ხნის წინ დაიწყო: როგორც რესპუბლიკელი, ისე დემოკრატი პრეზიდენტები ხშირად მიმართავდნენ ე.წ. „executive orders“-ს (აღმასრულებელი აქტების მიღება კონგრესის გვერდის ავლით), როცა აცნობიერებდნენ, რომ ოპოზიციის დამარცხება შეუძლებელი ან ძალზე რთული იყო). მეორე მხრივ, ქვეყანაში პოლარიზაცია მიმდინარეობდა — ისტორია, რომელიც ასევე არ უკავშირდება უშუალოდ ტრამპს, თუმცა ნათელია, რომ იგი, როგორც პოლიტიკოსი, „გაიზარდა“ და წარმატებას მიაღწია სწორედ იმ პოლარიზაციის წყალობით, რომელსაც წარმატებით იყენებდა. იკვებებოდა რა ნეგატივით და აქტიურად იყენებდა რა სოცქსელებს, უპირველესად — „ტვიტერს“, იგი აღრმავებდა ამ დაპირისპირებას.

ამასთანავე, ტრამპი დიდი სიმპათიით იყო განწყობილი და შეიძლება, ითქვას, შურდა კიდეც დიქტატორების — არა მხოლოდ პუტინის, არამედ სი ცზინპინის, კიმ ჩენ ინის, ერდოღანის. ეს „strong men“ ყოველთვის საკუთარი არასრულყოფილების გრძნობას იწვევდნენ მასში. ტრამპს უჩნდებოდა სურვილი, მათ მსგავსად მოქცეულიყო. გასაკვირი არაა, რომ ამან დაძაბულობა და კონფლიქტიც კი გამოიწვია აშშ-ის ტრადიციულ მოკავშირეეთან, რომლებთანაც ტრამპი თავს ნაკლებ კომფორტულად გრძნობდა. თვალსაჩინო გახდა ფასეულობათა სხვაობა მასა და ევროპელ პოლიტიკოსებს შორის.

გარდა ამისა, ტრამპი ის ადამიანია, რომელიც მთელი ცხოვრება საკუთარ თავზე მუშაობდა და მიიღო რა განუზომლად დიდი ძალაუფლება, მან მისი ტრანზაქციად გამოყენება დაიწყო, ანუ „მე — შენ, შენ — მე“. უკრაინა ერთ-ერთი ქვეყანაა, რომელზეც ტრამპმა ურთიერთმომსახურების ამ მექანიზმის მოსინჯვა სცადა, - მართალია, წარუმატებლად, მაგრამ სრული დატვირთვით. მხედველობაში მაქვს პრეზიდენტ ზელენსკისთან საუბარი, მასზე ზეწოლა, რათა უკრაინას ბაიდენის ვაჟის — ჰანტერის საქმიანობის გამოძიება დაეწყო. ამისათვის ტრამპმა 2019 წლის სექტემბერში დემოკრატების მიერ ინიცირებული პირველი იმპიჩმენტი მიიღო. არ ვიცი, ვის ართმევდა ფულს ჰანტერი — გამოძიება მიდის და ეჭვი არ მეპარება, რომ ის შედეგიანი იქნება, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს უმცროსი ბაიდენის ურთიერთობები რუს ოლიგარქებთან, ისინი მაინც განსხვავდება ტრამპის ურთიერთობებისგან რუსეთის სპეცსამსახურებთან და ოლიგარქებთანაც.

ბევრ კითხვას იწვევდა ტრამპის საგარეო პოლიტიკაც. უპირველესად, აქ, რა თქმა უნდა, პუტინთან „ბურუსით მოცული“ ურთიიერთობები იგულისხმება. არის არაერთი საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ ტრამპის მრავალრიცხოვანი გაბანკროტებიდან წარმატებულად გამოსვლა უკავშირდებოდა გარკვეული წყაროს მხრიდან ფინანსურ მხარდაჭერებს. თავის დროზე ყველაფერს გავიგებთ და ვფიქრობ, პრეზიდენტ ბაიდენის მმართველობის პერიოდში ქვეყნის იუსტიციის სამინისტროსა და გამოძიებათა ფედერალური ბიუროს მუშაობა უკვე შეფერხებების გარეშე წარიმართება.

„ობამას ადმინისტრაციაში ბაიდენს ყველაზე „არწივული“ პოზიციები ჰქონდა“

ძნელი წარმოსადგენია უფრო დიდი კონტრასტი, ვიდრე ტრამპსა და ბაიდენს შორისაა. ბაიდენი, უდავოდ, მეინსტრიმული ფიგურაა, დიდი ისტორიითა და პოლიტიკური გამოცდილებით. სენატში გატარებულმა მრავალმა ათწლეულმა იგი პოლიტიკურ ოპონენტებთან სხვაგვარ ალგორითმს მიაჩვია. თუ აშშ-ის ბოლო არჩევნებს გადავხედავთ, ბაიდენმა მოახერხა ჯერ რადიკალური მარცხენა ფრთის დამარცხება დემოკრატიულ პარტიაში, რომელსაც სენატორი სანდერსი ედგა სათავეში, ხოლო შემდეგ — ტრამპის. ბაიდენის გამარჯვება მნიშვნელოვანწილად მოზომილი შეხედულებების მქონე იმ ადამიანების (რესპუბლიკელებისა და დემოკრატების) გაერთიანების შედეგია, რომლებსაც ტრამპის შესაძლო შემდგომი საპრეზიდენტო ვადა აშფოთებდათ. და ვფიქრობ, ბაიდენმა რესპუბლიკელების იმდენი ხმა აიღო, რამდენიც მანამდე არც ერთ დემოკრატს არ მიუღია თანამედროვე ისტორიაში. თუმცა, ისიც ნათელია, რომ რიგ საკვანძო შტატებში სწორედ ე.წ. „never Trumpers“-ების მხარდაჭერამ ითამაშა გადამწყვეტი როლი.

ვფიქრობ, ბაიდენს მკაფიო წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ სად იმყოფება და მისი უზარმაზარი გამოცდილება გარანტიაა იმისა, რომ საგარეო პოლიტიკაში, განსაკუთრებით რუსეთთან ურთიერთობებში უფრო თანმიმდევრულად და მკაცრად იმოქმედებს. ვინ იცის? — შესაძლოა, ბაიდენის პრეზიდენტობა პუტინის დიქტატურის დასასრულსაც დაემთხვეს: 4 წელი დიდი დროა, პუტინი კი უკვე ბევრად უფრო მოწყვლადია, ვიდრე ადრე. ამასთანავე, ასაკმა შეიძლება, დადებითი როლი შეასრულოს ბაიდენის პოზიციის გამკაცრებაში, რადგან ის უკვე ფიქრობს საკუთარ ადგილზე ისტორიაში.

რაც შეეხება ბაიდენის წინაშე არსებულ მთავარ გამოწვევებს, ისინი უპირველესად საშინაო ხასიათისაა და მას, ასე ვთქვათ, გამარჯვებულის მანტიას არ მოუტანს. ბაიდენი დემოკრატიული პარტიის მემარცხენე და ულტრამემარცხენე ფრთის უზარმაზარი ზეწოლის ქვეშ იმყოფება. ბევრი განკარგულება, რომელსაც მან ხელი უკვე მოაწერა, იმ შეთანხმების შედეგია, რომელიც ბერნი სანდერსთან და ამ ფრთასთან მათი მხარდაჭერის სანაცვლოდ იქნა მიღწეული.

რაც შეეხება ბაიდენის საგარეო პოლიტიკასა და დაზვერვასთან დაკავშირებულ სამსახურებს, შეგვიძლია, მაღალი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ ეს ობამას კურსის გამეორება არ იქნება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ობამას ადმინისტრაციაში ბაიდენს ყოველთვის ყველაზე „არწივული“ პოზიციები ეკავა. 2021 არაა 2014, როცა ობამას ადმინისტრაციამ ბევრი შეცდომა დაუშვა პუტინის რეჟიმის ბუნების, მისი აგრესიის, უკვე იმ დროს ცხადი ფაშიზაციის სათანადოდ ვერაღქმის გამო. დღეს ყველაფერი ნათელია, ამდენად, ვფიქრობ, სსრკ-სთან ურთიერთობის გამოცდილება, რომელიც ბაიდენს გააჩნია (1979 წელს იგი საბჭოთა კავშირში ჩასულ სენატორთა ჯგუფს ედგა სათავეში), მას სწორი არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება.

(დასასრული იქნება)

„დეკაბრისტკა ნავალნაია“

„რა თქმა უნდა, აგვისტოს შემდეგ უფრო მეშინია, მაგრამ ჩემი ქმარი უკან არ იხევს და არც მე ვაპირებ უკან დახევას. მისი შეჩერება ცუდ ადამიანებს სურთ. ჩვენ მათ ამის საშუალება არ უნდა მივცეთ. მე აღფრთოვანებული ვარ ალექსეით არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ჩემი ქმარია, არამედ იმიტომ, რომ მისი მხარდამჭერიც ვარ და მას ყველაზე უკეთ ვიცნობ. ჩემი მთავარი ამოცანაა, რაც უნდა მოხდეს, ჩვენს ოჯახში არაფერი შეიცვალოს, ბავშვები დარჩნენ ბავშვებად, სახლი დარჩეს სახლად. მეც მინდა, დავრჩე იულია ნავალნაიად, ალექსეი ნავალნის ცოლად“, — ამბობს ალექსანდრე ნავალნის მეუღლე იულია ნავალნაია.

ამერიკის მთავარი შიდა ტერორისტული საფრთხე

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ქვეყნის მთავარი შიდა ტერორისტული საფრთხე დაასახელა.



„თეთრი სუპრემატისტები და „კუ-კლუქს-კლანის“ წევრები აშშ-ში ყველაზე საშიში ადამიანები არიან. ვიზრუნებ იმაზე, რომ იუსტიციის სამინისტრომ ამ ადამიანებს ყურადღება მიაქციოს. თეთრი რასის უპირატესობის მომხრეები აშშ-ის მთავარი შიდა ტერორისტული საფრთხეა“, — განაცხადა ბაიდენმა. თეთრი სახლის ლიდერმა ე.წ. თეთრი რასიზმის მომხრეებს „სულით ავადმყოფი და საშიში“ ხალხი უწოდა. ბაიდენის თქმით, მისი ადმინისტრაცია ამ მოძრაობის პოპულარობის ზრდაზე ყოფილი სამხედროებისა და პოლიციელების გავლენას შეისწავლის.

კანონპროექტი ისლამური რადიკალიზმის წინააღმდეგ

საფრანგეთის ეროვნულმა ასამბლეამ ისლამური რადიკალიზმის საწინააღმდეგო კანონპროექტი დაამტკიცა. საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატის დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს კანონპროექტს, რომელიც მეჩეთებზე, სკოლებზე და სპორტულ კლუბებზე ზედამხედველობას გააძლიერებს, რაც საფრანგეთს რადიკალური ისლამიზმისგან დაიცავს და ხელს შეუწყობს ფრანგული ღირებულებების პატივისცემას.

დასავლური მედია წერს, რომ აღნიშნული კანონპროექტი საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის ერთ-ერთი მთავარი პროექტია. ორ კვირიანი ინტენსიური დებატების შემდეგ, კანონპროექტს მხარი დაუჭირა 347-მა დეპუტატმა, 151 კი წინააღმდეგი იყო. 65-მა კანონმდებელმა თავი შეიკავა. კრიტიკოსები შემოთავაზებულ კანონს პოლიტიკურ ხრიკს უწოდებენ, რომ მომავალი წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ მაკრონის ცენტრისტული პარტიისკენ მემარჯვენე ფრთა მიიზიდონ. კანონპროექტს მუსლიმები ეწინააღმდეგებიან და აცხადებენ, რომ სახელმწიფო არსებით თავისუფლებებში ერევა.

„ᲦᲕᲗᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲜᲐᲢᲐ“

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲖᲔ როცა სიტყვა ჩამოვარდება, გონების ჰორიზონტზე მუდამ მზიური იტალია ჩნდება თავისი მრავალფეროვნებით და მშვენიერებით. აქ უპირველესი ადგილი საქვეყნოდ აღიარებულ იტალიურ სასიმღერო სკოლას ეკუთვნის. თითქმის საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს მუსიკალური სამყარო ამ მეთოდის ძიებასა და „დასაკუთრებაშია“... თვით იტალიელებისთვის კი იგი სრულიად მშობლიური, ახლობელი და სისხლხორცეულია. ამიტომაა, რომ ამ გასაოცარმა ქვეყანამ არა ერთი გენიალური მომღერალი შესძინა მსოფლიო საოპერო ხელოვნებას.

გასული საუკუნის 50–იანი წლების ბოლოს საოპერო ოლიმპზე ერთდროულად ორი ბრწყინვალე სოპრანო გამოდის – რენატა ტებალდი და მარია კალასი. ამ პერიოდში თითქმის ყველა ქვეყანაში ოპერის მოყვარულებს შორის ურთიერთდაპირისპირებული „ტებალდისტების“ და „კალასისტების“ ორი ჯგუფი გამოდის ავანსცენაზე. ერთნი უპირატესობას ტებალდის ანიჭებდნენ, მეორენი კი – კალასს. ჩემი აზრით, მომღერლების ერთმანეთთან დაპირისპირება არასწორია, ვინაიდან სიმღერის გარკვეულ მონაკვეთში თითოეულ მათგანს თავისი უპირატესობა გააჩნია, თუმცა, ორივე მომღერალი გენიალურია. ვისაც კი წილად ხვდა რენატა ტებალდის მოსმენა, მის საყოველთაო ტრიუმფში საეჭვოს და ამოუცნობს ვერ შენიშნავდა, რაც, პირველ რიგში, მის მდიდარ და უნიკალურ ვოკალურ მონაცემებში გამოიხატებოდა. მომღერლის იშვიათად ლამაზ და ძლიერ ლირიკო-დრამატულ სოპრანოს სრულიად თავისუფლად შეეძლო, დაეძლია ნებისმიერი ვირტუოზული სირთულის ნაწარმოები...

იგი 1922 წლის 1 თებერვალს დაიბადა იტალიის ქალაქ პეზაროში. მამამისი ვიოლონჩელისტი იყო, რომელიც ქვეყნის პატარ-პატარა თეატრებში უკრავდა, ხოლო დედა – ჯუზეპინა ბარბიერი-ტებალდი, მოყვარული მომღერალი გახლდათ. რვა წლის რენატამ ფორტეპიანოზე დაკვრა დაიწყო კერძო პედაგოგთან. უკვე ჩვიდმეტი წლისა, პეზაროს კონსერვატორიის სტუდენტი ხდება ფორტეპიანოს განხრით. სულ მალე სპეციალისტებმა მასში შესანიშნავი ვოკალური მონაცემები აღმოაჩინეს და იგი სიმღერაში მეცადინეობას პროფესორ კამპოგალიანისთან განაგრძობს, ამავე დროს კერძო გაკვეთილებს იღებს ცნობილ მომღერალ კარმენ მელისთან, ხოლო საოპერო პარტიებს პაისთან სწავლობს.

1944 წლის 23 მაისს ქალაქ როვიგოში, სადაც ოცდაათი წლის წინ დებიუტი ჰქონდა ბენიამინო ჯილის, ტებალდიმ პირველად შეასრულა ელენეს პარტია ბოიტოს ოპერაში „მეფისტოფელი“. ომის შემდეგ, 1945/46 წლების სეზონზე ახალგაზრდა მომღერალი პარმის საოპერო თეატრ „რეჟიოში“ გამოდის, ხოლო ერთი წლის შემდეგ ტრიესტში ვერდის „ოტელოში“ დეზდემონას პარტიას მღერის, რომელიც მისი ბრწყინვალე კარიერის დაწყების პერიოდად უნდა ჩაითვალოს. იტალიის ამ პატარა ქალაქში წარმატებულმა გამოსვლამ მომღერალს საშუალება მისცა, „ლა სკალაში“ მოხვედრილიყო. რენატა იმ მომღერლების სიაში აღმოჩნდა, ვინც საგანგებოდ შეარჩია გენიალურმა არტურო ტოსკანინიმ. „ბატონი ტებალდი“ გაისმა ხმამაღლა „ლა სკალას“ თეატრის დარბაზში. გოგონა, რომელიც არტურო ტოსკანინთან მოსასმენად ემზადებოდა, მოულოდნელობისგან შემცბარმა და გაკვირვებულმა ირგვლივ მიმოიხედა. **„გახმოვანებული იყო ჩემი გვარი, მაგრამ რატომ ახსენეს ბატონი? შეიძლება ჩემი გვარით კიდევ იყო სხვა მონაწილე? არა, რა საკვირველია, ეს უბრალო შეცდომა იყო, აქ ხომ მე არავინ მცნობს... მაესტროს წინაშე უამრავი კანდიდატის სიაში ჩემი გვარის ხსენება თავისთავად დიდი პატივი იყო დამწყები მსახიობისთვის...“** – იგონებს მომღერალი. გამარჯვებულს საზეიმო კონცერტში მონაწილეობის უფლება ეძლეოდა, რაც იტალიის მუსიკალურ ცხოვრებაში ორ უდიდეს მოვლენას აღნიშნავდა: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღდგენილი მილანის „ლა სკალას“ პირველი სეზონის გახსნას და თექვსმეტი წლის შემდეგ არტურო ტოსკანინის იტალიაში დაბრუნებას. რენატას მოსმენისას მაესტრომ ემოციები ვერ დამალა: „სასწრაფოდ დატოვეთ თქვენი სახელი და მისამართი“. არტურო ტოსკანინის აღიარებამ და ხმაურიანმა წარმატებამ, რენატა ტებალდის ფართო შესაძლებლობების საშუალება მისცა და უმოკლეს დროში „ღვთიურ რენატად“ (Ladivira Renata) აქცია (ასე უწოდებდნენ მას იტალიაში). ეჭვი არ იყო, იტალიურმა საოპერო სცენამ ელვარე ნიჭით დაჯილდოებული მომღერალი შეიძინა.

აქედან მოყოლებული, მომღერალი წლების განმავლობაში რეგულარულად ჩნდება „ლა სკალას“ სცენაზე, რომელთანაც დაკავშირებულია მისი უდიდესი მიღწევები.

„ლა სკალაში“ გრანდიოზულმა წარმატებამ უზრუნველყო მომღერლის სახელის სწრაფი გავრცელება მთელ იტალიაში. ახალი ამომავალი ვარსკვლავით დაინტერესდნენ ადგილობრივი და საზღვარგარეთის უდიდესი თეატრები. მილანის გარდა იგი ხშირად გამოდის რომში, ნეაპოლში, ფლორენციაში, ტურინში, გენუაში, ვენეციასა და ბოლონიაში... სამშობლოში მისმა დიდმა აღიარებამ ხელი შეუწყო 1950 წელს საზღვარგარეთ მის წარმატებულ გამოსვლებს. ამ პერიოდში იგი ინგლისში ედინბურგის ფესტივალზე იღებს მონაწილეობას, ხოლო „კოვენტ გარდენის“ თეატრში „ლა სკალას“ დასის მიერ წარმოდგენილ სპექტაკლებში

მღერის წამყვან პარტიებს და ბრიტანელი მსმენელის მაღალ შეფასებას იმსახურებს. ამავე წლის შემოდგომაზე იგი მიიწვიეს სან ფრანცისკოს თეატრში აიდას როლში, ვერდის ამავე სახელწოდების ოპერაში. ეს თეატრი ამერიკაში ერთგვარ „ფანჯარას“ წარმოადგენდა ევროპელი მომღერლებისთვის. კრიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ ბოლო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ისეთი დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია არც ერთ მომღერალს, როგორც ეს ტებალდიმ შეძლო. თუმცა რენატა ძირითად დროს მაინც იტალიურ სცენებს უთმობდა.

უკვე გასული საუკუნის 50-იან წლებიდან მომღერალი თავისი გასაოცარი ხმით ატყვევებს ამერიკის, არგენტინის, ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრიის და ევროპის სხვა ქვეყნების აუდიტორიას. საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში იგი ერთმანეთს წარმატებით უთავსებდა „ლა სკალას“ სოლისტობას და „მეტროპოლიტენ-ოპერის“ თეატრში გამოსვლას. იგი თანამშრომლობდა იმ დროს მოღვაწე თითქმის ყველა ცნობილ დირიჟორთან, მართავდა უამრავ კონცერტს, წერდა გრამფირფიტებზე. 1951 წელს, როდესაც მთელი იტალია აღნიშნავდა ჯუზეპე ვერდის გარდაცვალებიდან 50 წელს, როგორც კომპოზიტორის ნაწარმოებების უბადლო შემსრულებელი, ტებალდი იტალიის თეატრების არა ერთ დადგმაში იღებს მონაწილეობას.

რენატა ტებალდის ხელოვნების განსაკუთრებული მნიშვნელობა მისი ხმის არაჩვეულებრივ სილამაზესა და ძალაშია, გამორჩეულად რბილი და ნაზი ლირიკულ მომენტებში, ხოლო ცეცხლოვანი ემოციებით გამოხატული დრამატულ ეპიზოდებში, რომელსაც თან ახლავს სანიმუშო შესრულების ტექნიკა და უმაღლესი მუსიკალურობა.

ცნობილი მუსიკათმცოდნე ტიმოხინი გადმოსცემს: **„ტებალდის ხმა ერთ-ერთი ულამაზესია გასული საუკუნის მეორე ნახევარში. გრამჩანაწერებიც კი ცოცხლად გადმოსცემენ მის მომხიბვლელობას. იგი თავისი „კაშკაშა“ და „სხივოსნური“ ბგერებით ერთნაირად შთამბეჭდავია, როგორც „ფორტეს“, ასევე ზღაპრული „პიანისიმოებით“ მაღალ რეგისტრში. მისი სასიმღერო პალიტრა თანაბრად სანიმუშო ხარისხისაა, დიდებულია დიქცია. მომღერლის მიერ ოსტატურად გადმოცემული ტემბრალური ფერების სრული არსენალი კიდევ უფრო მეტად უწყობენ ხელს უდიდეს შთაბეჭდილებას, რომელსაც აუდიტორიის წინაშე მომღერალი განასახიერებს. ტებალდისთვის უცხოა „ხმის ჩვენების“ სურვილი, რათა მას ეგრეთ წოდებული „იტალიური“ ემოციურობა შესძინოს. იგი მუდმივ თანხვედრაშია ფაქიზ გემოვნებასთან და საოპერო ნაწარმოების მხატვრულ სრულყოფასთან“.**

მის სიმღერას ყოველთვის მღელვარებაში მოჰყავდა მსმენელი. ძნელია, დაივიწყო ხმის ინტენსიური მატება მომღერლის მიერ შესრულებულ მონოლოგსა და შვილთან გამომშვიდობების სცენის დროს პუჩინის „მადამ ბატერფლაიში“, იშვიათი ემოციური გამოხატვა „ტრავიატას“ ფინალში, სულის შემძვრელი გრძნობათა გადმოცემა ოპერა „აიდას“ ბოლო დუეტში და მიმის რბილი, დამდარვაჯერ გამოიხმო სცენაზე.

რენატა ტებალდი, საოპერო პარტიის გარდა, რომლის რაოდენობა ორმოცამდეა, აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობასაც ეწეოდა, სადაც არიებთან ერთად რომანსებს, ნეაპოლიტანურ და ხალხურ სიმღერებსაც ასრულებდა. დიდი ინტერესით ახდენდა ოპერების გრამჩანაწერებს, მათ შორის ისეთების, რომლებიც სცენაზე არ უმღერია. მისი სიმღერები განმეორებულია კინოფილმებში: „ლოენგრინი“ (1947 წ.) და „აიდა“ (1953 წ.). საბჭოთა მსმენელთან მომღერლის შეხვედრა 1975 წელს მოხდა. 53 წლის ტებალდიმ სრული ფურორი მოახდინა მოსკოვის, ლენინგრადის და კიევის მაყურებლებში.

სპექტაკლები და კონცერტები მისი შესრულებით მომღერლის კარიერის დასაწყისიდანვე წარმოადგენდა აშკარა მხატვრულ მოვლენას. იგი თანამშრომლობდა ისეთ დირიჟორებთან, როგორებიცაა: ჯეიმს ლივანი, ჰერბერტ ფონ კარაიანი, ტულიო სერაფინი, ლამბერტო გარდელი, გეორგ შოლტი, კარლ ბოიმი და სხვები. სცენაზე და სტუდიაში ხშირად მისი პარტნიორი იყო საქვეყნოდ აღიარებული ტენორი – მარიო დელ მონაკო. ცნობილია, მაღალ მხატვრულ დონეზე შესრულებული 17-ზე მეტი მათი ერთობლივი საოპერო ჩანაწერი.

მომღერალი 2004 წელს გარდაიცვალა 82 წლის ასაკში.

რენატა ტებალდი მსოფლიო საოპერო ხელოვნების ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი უდიდესი ვოკალისტი, თავისი გასაოცარი სილამაზის ხმით და სასიმღერო კულტურით. ამ სფეროში მისი როლი მართლაც შთამბეჭდავი და განუზომელია. ნიშანდობლივია, რომ საკანცელარიო ბრენდის Fabriano Boutlque-ს ინიციატივით შედგენილ პროექტში, 150 ყველაზე პოპულარული იტალიელის სიაში, რომელიც ამ ქვეყნის მოსახლეობის გამოკითხვით შედგა, ტებალდის გვარიცაა მოხსენიებული.

ᲒᲔᲚᲐ ᲥᲝᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
(ტელ: 551491997).

ᲐᲮᲐᲚᲘ „ᲮᲝᲠᲜᲐᲑᲣᲯᲘ“

2021 ᲬᲚᲘᲡ თებერვალში გამოვიდა ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ მე-10 ნომერი.

ალმანახის რედაქტორია **გიორგი ნატროშვილი**. გარეკანი გაფორმებულია **ვაჟა ყოჩიაშვილის** ფოტოთი და **ინგა ბაიაშვილის** ნამუშევრებით. ყდის მე-3 გვერდზე იხილავთ ინფორმაციას **ინგა ბაიაშვილის** შემოქმედების შესახებ.

რუბრიკაში „პოეზია“ მკითხველი გაეცნობა: **ქეთევან შენგელიას, ეკა ჯავახიშვილის, ეკა ბაქრაძის, ბათუ დანელიას, თამაზ წიკლაურის, ცირა ბარბაქაძის, მამუკა ოჩიაურის, ვაჟა ოთარაშვილის, ეკა კვანტალიანის, ვასილ ბესელიას, ნომადი ბართაიას, დავით ახლოურის, გია ჯიჭონიას, მარიკა პარნასელის, ვიკა ქალდანის, რეზო სირბილაძის, ქეთი ჯოლბორდის, ნანა საბანაძის, ეთერ ფაცურიას, ელგუჯა ციგროშვილის და სალომე გოგოლაძის** ლექსებს.

რუბრიკა „პროზა“ ექვს ავტორს წარმოგვიდგენს: **გია ხუბუას, ქეთევან დოლიძეს, ცოტნე სივსივაძეს, ლანა მანველს, ანა ერისთავსა და სალომე გოგოლაძეს.**

რუბრიკა „გახსენება“ გვახსენებს **გიორგი ჭოლიკაურის** ლექსებს.

რუბრიკა „თარგამანი“ კი გვთავაზობს **იგორ ხარიჩევის** (მთარგმნელი: **აკაკი დაუშვილი**) და **ვირჯინია ვულფის** (მთარგმნელი: **ანა გოგოჭური**) მოთხრობებს და **იანკა კუპალას, ადა ნეგრის** და **ანა ახმატოვას** პოეზიის **მარი თაბაგარისეულ** თარგმანს.

რუბრიკა „პუბლიცისტიკა“ წარმოგვიდგენს **ნანა ჭიჭინაძის** წერილს „ბაირონიდან გალაკტიონამდე“, რომელიც ცნობილი ქართველი ენათმეცნიერისა და ლიტერატურათმცოდნის ქალბატონ **ინესა მერაბიშვილის** 70 წლის იუბილეს ეძღვნება.

აქვე გაეცნობით დალი ბაღაშვილის წერილს „არხილოსკალო“, რუბრიკით „დედოფლისწყაროს ისტორიიდან“., სადაც ვრცლადაა მოთხრობილი ამ ისტორიული სოფლის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ყდის პირველ გვერდს სწორედ არხილოსკალოს ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძარი ამშვენებს.

ᲜᲐᲜᲣᲙᲐ ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔ

◎ საგზურისთვის

ტოკიოს აჩრდილი

პირველი შეხვედრის შემდეგ, რომელშიც როტერდამის აუზში მიმდინარე ტოკიოს ოლიმპიადის საკვალიფიკაციო რაუნდის სტარტზე ტურნირის ფავორიტ ბერძნებთან მძაფრ ბრძოლაში 10:11 დავმარცხდით, შეგპირდით, რომ უშუალო კონკურენტებთან შეხვედრებში „ა“ ჯგუფიდან გამსვლელ ქულებს მაინც ავიღებდით და პლეი-ოფში თამაშის რეალურ შანსს შევინარჩუნებდით.

ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ამჯერად განვითარდა მოვლენები.

ჯერ იყო და უბრძოლველად ჩაგვეთვალა მნიშვნელოვანი მოგება კორონავირუსის გამო სამშობლოში დაბრუნებულ თურქებთან, ხოლო შემდეგ ისტორიაში ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოვიპოვეთ ორი ოლიმპიადისა და თექვსმეტი(!) მუნდიალის მონაწილე კიდევ ერთ პრინციპულ მეტოქე კანადასთან — 14:11.

ეს წარმატება მნიშვნელოვანწილად ჩვენი გუნდის ლეგიონერთა დამსახურებაა, თუმცა, ნურც ჯახაიასა და შუშიაშვილის ღვაწლს დავაკნინებთ. აღსანიშნავია აგრეთვე კრიტიკულ ვითარებაში მეკარე რაზმაძის მიერ მოგერიებული ე. წ. მკვდარი ბურთი, როცა „ნეკერჩხლის ფოთლები“ ორ გოლამდე ამცირებდნენ სხვაობას.

მოკლედ, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ მეოთხედფინალში რუსეთთან მოგვიწევს ყოფნა-არყოფნის მატჩის გამართვა (საუკეთესო შემთხვევაში — ფრანგებთან), რომლებმაც რუმინელებთან აიღეს ძვირფასი ქულა.

ბეჟან დოლიძე

◎ რაგბი

მაინც გვჯერა...

ცნობილია, რომ რაგბიში ევროპის ჩემპიონატი პარალელურად მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირსაც წარმოადგენს, რის გამოც მის მიმართ ინტერესი გაათმაგებულია.

გაგაცნობთ პირველი წრის კალენდარს, რომელიც საფიქრალს იმით გვიჩენს, რომ მარტში „ბორჯღალოსნებს“ ზედიზედ სამი გასვლითი მატჩი უწევთ:

6 ან 7 მარტი. პორტუგალია — საქართველო;

13 ან 14 მარტი. ესპანეთი — საქართველო;

20 ან 21 მარტი. რუსეთი — საქართველო;

27 ან 28 მარტი. საქართველო — რუმინეთი;

26 ან 27 ივნისი. საქართველო — ბულგარია ან ნიდერლანდები.

კობა კობახიძე

◎ რეპეტიცია

„ვერცხლიც“ მედალია

22 აპრილს ლონდონში გაგრძელდება შარშან მარტში კორონავირუსის პანდემიის გამოცხადების გამო ინგლისის დედაქალაქშივე შეწყვეტილი ევროპელ მოკრივეთა საოლიმპიადე სალიცენზიო ასპარეზობა.

სწორედ მომავალი უმნიშვნელოვანესი გამოცდისათვის უკეთესად მომზადების მიზნით საქართველოს ხუთკაციანი ნაკრები (მთავარი მწვრთნელი — **ბეჟან ჭიჭინავა**, მწვრთნელი — **ილია ტლაშაძე,** ექიმი — **დავით შამათავა)** უნგრეთში „ა“ კატეგორიის პრესტიჟულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე— იშტვან ბოშკაის 65-ე მემორიალზე გამოვიდა.

პარტნიორთა შორის დებრეცენის რინგზე ყველაზე უკეთესი შედეგი რუსთაველებმა — ლაშა გურულმა (63კგ) და ნიკოლოზ ბეგაძემ (+91 კგ) აჩვენეს, რომლებიც სამშობლოში ვერცხლის მედლებით დაბრუნდნენ.

აღსანიშნავია, რომ მათგან პირველს ფინალური ბრძოლა მასპინძელთან მსაჯებმა დაათმობინეს, ხოლო მეორე ბრიტანელ მეტოქეს ტრავმის გამო არ გამოუცხადდა.



რაც შეეხება ტოკიოს საგზურის მფლობელ სახილ ალახვერდოვს (52 კგ, თბილისი), ესკერხან მადიევს (69 კგ, თბილისი) და გიორგი ხარაბაძეს (75 კგ, ქუთაისი), მათ პირველივე შეხვედრების წაგებით დაკარგეს პრიზიორობის შანსი.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფორუმის წინ

ერთი გასროლით - ორი კურდღელი

როგორც მოგეხსენებათ, სპორტულ სამყაროში ერთგვარი ტრადიცია დამკვიდრდა — ოლიმპიურ წელს გამართულ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე ამ უმნიშვნელოვანესი ოფიციალური ტურნირების მედლებთან ერთად დამდეგი თამაშების სალიცენზიო ქულებიც თამაშდება.

გამონაკლისს არც 3-13 აპრილს მოსკოვში დაგეგმილი ძალოსანთა კონტინენტური ფორუმი წარმოადგენს, სადაც ფავორიტის სტატუსით ქართველი შტანგისტებიც გაემგზავრებიან.

დუშეთში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფ „ჯვაროსანთა“ თავკაცებმა ასეთი გაფართოებული შემადგენლობა შეარჩიეს:

ქალთა ნაკრები — მარიამ მაისურაძე (55), მარიამ მურღვლიანი (76), ნათია გადელია (81), ანასტასია გოტფრიდი (87 კგ). **მთავარი მწვრთნელი** — თემურ ჯანჯღავა.

ვაჟთა ნაკრები — გიორგი დოკვაძე (55), შოთა მიშველიძე (61), რამინ შამილიშვილი (61, სათადარიგო), გოგა ჩხეიძე (67), გოდერძი ბერდელიძე (67, სათადარიგო), კახა ასანიძე (73), გიორგი ლომთაძე (81), არჩილ მალაყმაძე (81, სათადარიგო), რევაზ დავითაძე (89), ირაკლი გობეჯიშვილი (89, სათადარიგო), ანტონ პლესნოი (96), ლომია თებიძე (96, სათადარიგო), ირაკლი ჩხეიძე (102), ზაზა ლომთაძე (102, სათადარიგო), აკაკი ტალახაძე (109, სათადარიგო), ირაკლი თურმანიძე (+109), ლაშა ტალახაძე (+109), გიორგი ჩხეიძე (+109 კგ, სათადარიგო). **მთავარი მწვრთნელი** — გიორგი ასანიძე, **მწვრთნელები** — აკაკი გახოკიძე, გია ცირეკიძე.

რუსეთის დედაქალაქში წამსვლელთა ვინაობა ძალთა სერიოზული გამოცდის სტარტამდე ზუსტად ერთი თვით ადრე — 3 მარტს გახდება ცნობილი.

დავძენთ, რომ ძალოსნობის ეროვნულმა ფედერაციამ მოჭიდავეთა და ძიუდოისტთა ნაკრებ გუნდებს ტოკიოსათვის ფიზიკურად უკეთ მოსამზადებლად სპეციალური ძალოსნური სავარჯიშო იარაღების კომპლექტი აჩუქა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ტატამი

ჩვენი კაცი

მსაჯთა საერთაშორისო რეიტინგის მეორე ნომერი ვლადიმერ ნუცუბიძე იმ 16 რჩეულს შორის მოხვდა, ვისაც ტოკიოს ოლიმპიადაზე ძიუდოისტთა ტურნირის შეხვედრების რეფერობა ანდეს.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატურების შერჩევისას ითვალისწინებენ გენდერულ ბალანსსა და კონტინენტურ კვოტებს, ხოლო თითოეულ ქვეყანაზე მხოლოდ ერთი წარმომადგენელია დაშვებული.

სხვა ფაქტორებთან ერთად, ამიტომაცაა საამაყო ჩვენი თანამემამულისადმი გამოცხადებული ნდობა.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ფინიშზე

ამაყად მიდის

ხვალ პოპულარულ იტალიურ ზამთრის კურორტ კორტინა დ'ამპეცოში დანიშნული მუნდიალის შემდეგ შთამბეჭდავ კარიერას ასრულებს ერთადერთი ამერიკელი ორგზის ოლიმპიური, აგრეთვე ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი სამთო-სათხილამურო სპორტში ტედ ლიგეტი.

აი, როგორ ახსნა 36 წლის ლეგენდამ საკუთარი გადაწყვეტილება „ნიუ იორკ თაიმსთან“ ინტერვიუში: **„ჩემი პრიორიტეტები შეიცვალა და უკვე აღარ მსურს ოთხი-ხუთი კვირის გატარება სახლისგან შორს ვარჯიშებსა თუ ტურნირებზე. გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ მისაღწევს მივაღწიე და აღარ შემიძლია მაღალ დონეზე გამოსვლა.“**

ბადრი იაშვილი

◎ ჩემპიონთა ლიგა

დრონი მეფობენ...

„ბარსელონასა“ და „პარი სენ-ჟერმენის“ ურთიერთობა უკვე შორეულ 1977 წელს იწყება, როცა საფრანგეთის დედაქალაქში გამართული ამხანაგური მატჩი ფრედ — 1:1 დასრულდა და ანგარიში ზღაპრული შორეული გასროლით ლეგენდარულმა კრუიფმა გაათანაბრა, რომელმაც ბურთი მასპინძელთა ახალშექმნილი კლუბის კარის ცხრიანში ჩააჭედა.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და პრინციპულ მეტოქეთა შეხვედრათა სტატისტიკური ბალანსი კატალონიელთა მცირე უპირატესობას ასახავს. გულშემატკივარს განსაკუთრებით 2017 წელს „კამპ ნოუზე“ მომხდარი სასწაული ხიბლავს, სადაც მესიმ, ნეიმარმა და სუარესმა ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში პირველად და, ჯერჯერობით, უკანასკნელად 4-ბურთიანი(!) ჩამორჩენა აღმოფხვრეს და სერხი რობერტოს ოქროს გოლით სტუმრები 6:1 დააშამათეს.

და აი, მოვიდა ვენდეტას დრო. მაშინ, როცა აწ უკვე ფრანგების ლიდერი ნეიმარი, ისევე როგორც დი მარია, ტრავმირებულნი არიან, პოჩეტინოს გუნდის რეაქტიულმა ვარსკვლავმა მბაპემ აიწყვიტა, ახალგამოჯანმრთელებული პიკე გააბითურა და კუმანის შეგირდებთან მათსავე სარბიელზე შესრულებული ჰეთ-თრიქით საპასუხო ბრძოლას ინტრიგა დაუკარგა — 4:1. მასპინძელთათვის სასიკეთო მხოლოდ მესის მიერ რაულის რეკორდის გამეორება იყო — მან ზედიზედ მეჩვიდმეტე ჩემპიონთა ლიგის სეზონში გაიტანა ბურთი.

დაახლოებით იგივე ვითარებაა „ლაიფციგისა“ და „ლივერპულის“ წყვილში, რადგან სალაჰმა და მანემ ბუდაპეშტში ნომინალურ გერმანელ მასპინძლებს 2:0 სძლიეს.

გიორგი ზოთაძე

როგორ დავიკანონოთ თბილისში ბინა ერთ ლარად?!

თბილისის მერიის ინიციატივით, მოქალაქეებს, რომლებიც თბილისში წლების განმავლობაში დაუკანონებელ ფართებში ცხოვრობდნენ, დედაქალაქის მთავრობა საცხოვრებლებს და საკარმიდამო მიწის ნაკვეთებს სიმბოლურ ფასად — ერთ ლარად უკანონებს.

ვის შეუძლია თვითნებურად დაკავებული ფართის დაკანონება, რა პროცედურებია გასავლელი და რა ვადებში ხდება მოთხოვნის დაკმაყოფილება, ამის შესახებ ინფორმაცია თბილისის მერიის პრეს-სამსახურმა მოგვაწოდა.

— უკვე წლებია, მუნიციპალიტეტის მიერ ხდება თვითნებურად დაკავებული ფართების საკუთრებაში გადაცემა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ამ ფართებში ათეული წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ და ვერ ახერხებდნენ ფართის დაკანონებას. კონკრეტული წლები განსაზღვრული არ არის, რადგან ეს ფასდება ინდივიდუალურად. ზოგიერთი ოჯახი 10 წელი ცხოვრობს, ზოგი — 30, და შემდეგ დაუკანონდათ ფართები. მინიმალური დრო არის 10 წელი. ყველა შემთხვევას სწავლობს გამგეობა, შემდეგ მზადდება მონაცემები და გადის მთავრობის სხდომაზე, სადაც ხდება გადაწყვეტილების მიღება.

2017 წლიდან დღემდე სიმბოლურ 1 ლარად ფართი საკუთრებაში 1.400-მდე ოჯახს გადაეცა.

— ვის აქვს აღნიშნული პროექტით სარგებლობის უფლება?

— თბილისის მუნიციპალიტეტის წინაშე წლების განმავლობაში მწვავედ იდგა სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ფართებში ხანგრძლივი დროით მცხოვრებთა პრობლემა. სწორედ ხანგრძლივი დროით მცხოვრებ ადამიანებს შეუძლიათ, მიმართონ თავიანთი რაიონის გამგეობას. თუმცა ეს არ ეხება დევნილებს, აღნიშნულ საკითხზე მათ ჯანდაცვის სამინისტროს უნდა მიმართონ.

— რა პროცედურებია გასავლელი და რა სახის საბუთები უნდა წარადგინოს მოქალაქემ?

— მოკვლევას აწარმოებენ გამგეობები. საჭიროა მოქალაქის განცხადება, დაკავებული ფართის მისამართის და საკადასტრო კოდის მითითებით. ასევე მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, რომელშიც დასტურდება პირის მისამართზე ცხოვრების ფაქტი და ხანგრძლივობა. ცნობა საჯარო რეესტრიდან პირის და მისი ოჯახის წევრების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

— რა ვადებში ხდება მოთხოვნის დაკმაყოფილება?

— გამგეობის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე ფართის გადმოცემის მოთხოვნის წერილი ეგზავნება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. ფართების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის შემდგომ კი სსიპ ქონების მართვის სააგენტო ინიცირებას უკეთებს პროექტს და წარადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე. ვადებს რაც შეეხება, განსაზღვრული არ არის.

— ამ მიმართულებით რამე სიახლე ხომ არ იგეგმება მომავალში?

— ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია კვლავ აგრძელებს წლობით დაუკანონებელი ფართების მოქალაქეებისთვის საკუთრებაში გადაცემის პროცესს, რათა კიდევ უფრო მეტმა ოჯახმა შეძლოს ფაქტიურ მფლობელობაში არსებული ფართის, ბინის საკუთრებაში მიღება.

მარი ნებიერიძე

მეგობრის მონატრება

იუზა ლორია

თბილისის ქუჩებში დადიოდა ერთი კარგი ქართველი კაცი, ღირსეული პიროვნება, ზრდილი, თავაზიანი, დახვეწილი და კოლორიტული ადამიანი, საკუთარი საგვარეულოს პრეზიდენტი იუზა ლორია.

ის იყო ვაჟკაცური გარეგნობით გამორჩეული პიროვნება, რომელსაც სულიც ისეთივე ლამაზი ჰქონდა, როგორც სხეული.

შესანატრი იერი და ჩაცმულობა ლაპარაკობდა მის სულიერ სილამაზეზე, სიფაქიზესა და ინტელიგენტურობაზე.

იუზა ლორია სიკეთის მთესველი და სიკეთის დამნახველი კაცი, სისხლით ხორცამდე ქართველი, არისტოკრატი, ერთგული მეგობარი, სასიამოვნო მოსაუბრე, თავმდაბალი და ყველასადმი კეთილგანწყობით გამორჩეული გახლდათ.

როგორც პროფესიონალი ადამიანი, ის გვხიბლავდა თავისი ობიექტურობით, პატიოსნებით, ერთგულებით, განათლების დონით, ზრდილობით, ყურადღებითა და პიროვნული ხიბლით.

წლების განმავლობაში იუზა ლორია მუშაობდა საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე.

იუზა ლორია არა მხოლოდ ავტორიტეტული, არამედ სამეგობროშიც გამორჩეული პიროვნება იყო.

ჩვენი მეგობრობა ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლიდა და მადლობა განგებას, რომ მას ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას შევხვდით, შემდეგ კი ძმასავით დაგვიდგა გვერდით, მუდამ გვამხნევებდა, გვახალისებდა, კეთილ საქმეთათვის გვაქებდა.

იგი არაორდინარული პიროვნება იყო, მკაცრად იცავდა კაცობის კოდექსს, არასდროს ღალატობდა ცხოვრების წესს და იყო უაღრესად გულწრფელი...

ხშირად იმეორებდა დიდი ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვებს: „ჯერ წესია წესი და მერე, საქმეა სექმე!“

მასთან შეხვედრა და საუბარი იყო ძალიან სასიამოვნო, სასარგებლო, დაუვიწყარი...

მადლობელი ვართ განგების, იუზა ლორიას მსგავსი სრულქმნილი ადამიანი რომ გვარგუნა მეგობრად.

ის მუდამ იქ იყო, სადაც უნდა ყოფილიყო ქვეყნის, ოჯახისა და მეგობრების ერთგული კაცი.

გული გვტკივა და განვიცდით, რომ ერთად ვეღარ ვიხსენებთ წარსულს და ვეღარ მივუჯდებით ქართულ სუფრას...

ღირსეული კაცის წასვლას ღირსეული გლოვა და გახსენება უხდება მუდამ!

იუზა ლორიას ხსოვნას სათუთად ინახავს მისი დიდი ოჯახი, სამი შვილი და ცხრა შვილიშვილი...

ღმერთმა ნათელში გამყოფოს ჩვენო ერთგულო, უღალატო, ნაღდო მეგობარო!

ჩვენ კი, შენგან მიტოვებულები, ჩვენს რიგს დაველოდებით...

გელა მეგრელიძე,
ბორის ფოცხვერაშვილი,
თეიმურაზ ლორია.

მომსახურების სააგენტოში დღეიდან ყველა სახის სერვისი განახლდა

უკვე შესაძლებელია მართვის უფლების მისაღებ თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდებზე გასვლა. მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ ელექტრონულად დაჯავშნონ თეორიული გამოცდის რიგი. ასევე, სრულად აღდგება იარაღის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურები.

დაინტერესებული პირები შეძლებენ იარაღის რეგისტრაციის ნებართვის გამოცდის ჩაბარებას.

რაც შეეხება მომსახურების სააგენტოს მიერ გასაცემ ცნობებს, განაცხადის მიღება შესაძლებელი იქნება ადგილზე, მომსახურების ცენტრებში, ასევე ელექტრონული წესით.

სააგენტო მოქალაქეებს მოუწოდებს, რომ სერვისების მისაღებად პირბადით გამოცხადდნენ.

ზუგდიდში უაქციზო თამბაქოს ნაწარმის ტრანსპორტირების ფაქტები გამოავლინეს

17 თებერვალს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის დასავლეთის განყოფილების თანამშრომლებმა, ზუგდიდის რაიონში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, ჯამურად 1,280 ბლოკი უაქციზო თამბაქოს ნაწარმის ტრანსპორტირების სამი ფაქტი გამოავლინეს. ამის შესახებ ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ უაქციზო საქონელი. აღნიშნულ სამ ფაქტზე, სამართალდამრღვევი პირების მიმართ ადმ.ს.კ-ის 1552 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ხოლო საქმეთა მასალები სასამართლოს ქვემდებარეობის მიხედვით გადაეგზავნა.

ნიდერლანდებში კომენდანტის საათი ძალაში დატოვეს

ნიდერლანდების სააპელაციო სასამართლომ კომენდანტის საათი ძალაში დატოვა. აღნიშნულ გადაწყვეტილებამდე, სასამართლოს ქვედა ინსტანციამ მთავრობის მიერ კორონავირუსის გავრცელების გამო ღამის საათებში დაწესებული კომენდანტის საათის გაუქმების დადგენილება მიიღო. სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ ზომას არ გააჩნია შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი, რადგან მთავრობამ მკაფიოდ არ განმარტა, რატომ იყო აუცილებელი პანდემიის ამ ეტაპზე აღნიშნული საგანგებო ზომის გამოყენება. სასამართლოს ეს გადაწვეტილება მთავრობამ გაასაჩივრა.

კომენდანტის საათის წინააღმდეგ მოძრაობა „სიმართლე ვირუსის შესახებ“ გამოდიოდა. აქტივისტებმა ნიდერლანდებში შეზღუდვების წინააღმდეგ რამდენიმე საპროტესტო აქცია გამართეს. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის განცხადებით, კი ქვეყნის ინტერესები გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე ამ მოძრაობის.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა მარკ რუტემმიკრობლოგ „ტვიტერზე“ დაწერა, რომ კომენდანტის საათი ისევ ძალაში რჩება, რადგან ვირუსზე კონტროლი ჯერ არ დამყარებულა.

მარიხუანის პლანტაცია ყოფილი ფეხბურთელის სახლში

ყოფილი ფეხბურთელის, იტალიელი ლუიჯი სარტორის აგარაკზე მარიხუანის პლანტაცია აღმოაჩინეს.

ყოფილ სპორტსმენს შინაპატიმრობა აქვს მისჯილი. მისი და კიდევ ერთი თანამზრახველის, მარკო მანტოვანის სასამართლო პროცესი მომდევნო თვეში გაიმართება.

ჯამში, აღმოჩენილია 160 ძირი მცენარე, რომლისგანაც 2 კილოგრამამდე მარიხუანას დამზადებაა შესაძლებელი.

სამართალდამცველებს ეჭვი მას შემდეგ გაუჩნდათ, რაც ნახნეს, რომ მიტოვებულ კოტეჯში ელექტროენერგიის მოხმარება გაორმაგდა და თან, შენობიდან შუქი ღამითაც გამოდიოდა.

ლუიჯი სარტორმა საფერხბურთო კარიერა 2009 წელს დაასრულა.

მოსალოდნელია თოვა და ტემპერატურის ვარდნა

სინოპტიკოსების ინფორმაციით 18 თებერვალს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა. ღამისა და დილის საათებში მცირე თოვლი. დასავლეთის მიმართულების ქარი 10-15 მ/წმ, დროგამოშვებით შესაძლებელია გაძლიერება 18-20 მ/წმ-მდე და ქარბუქი. ჰაერის ტემპერატურა ღამის საათებში -11, -13 დღის საათებში -4, -6°C.

19-20 თებერვალს იქნება ცვალებადი მოღრუბლულობა. შესაძლებელია მცირე თოვლი. ჰაერის ტემპერატურა ღამის საათებში — -13, -15, დღის საათებში -5, -7°C-ია მოსალოდნელი.

21 თებერვალს ცვალებადი მოღრუბლულობაა ნავარაუდევი. უმეტესად უნალექოდ. ჰაერის ტემპერატურა ღამის საათებში — -16, -18, დღის საათებში -3, -5°C იქნება.

22-24 თებერვალს ცვალებადი მოღრუბლულობა. მცირე თოვლი. დასავლეთის მიმართულების ქარი 10-15 მ/წმ. ჰაერის ტემპერატურა ღამის საათებში — -14, -16, დღის საათებში — -2, -4°C.

25-26 თებერვალს უმეტესად ღრუბლიანი ამინდი იქნება. მოსალოდნელია თოვლი, დროგამოშვებით შესაძლებელია ძლიერი, დასავლეთის მიმართულების ქარი 10-15 მ/წმ, შესაძლებელია ქარბუქი და ნისლიც. ჰაერის ტემპერატურა ღამის საათებში — -11, -13 დღის საათებში 0, -2°C იქნება.

... **„საქართველოს** რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ინტენსიური თოვის გამო, საავტომობილო გზებზე დაწესებულია გარკვეული სახის შეზღუდვები, კერძოდ:

დაბალი ხილვადობის გამო, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის კმ1-კმ62 (გომბორის წრიული-შუა მთის მონასტრის გადასახვევი) მონაკვეთზე, დასაშვებია მხოლოდ მაღალი გამავლობის (ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე) ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

ინტენსიური თოვის და ლიპყინულის გამო, საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ28-კმ158 (ნატახტარი-ხუნევი) მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ინტენსიური თოვის გამო, საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოსავლელ საავტომობილო გზაზე აკრძალულია მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

ინტენსიური თოვის და ლიპყინულის გამო, საერთაშორისო მნიშვნელობის ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზის კმ65-კმ98 მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა.“

ვულკანი ეტნა ამოიფრქვა

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ვულკანი ეტნა ამოიფრქვა. იტალიის ხელისუფლების განცხადებით მიმდებარე სოფლებს საფრთხე არ ემუქრებათ.

„ჩვენ უარესიც გვინახავს“, — განაცხადა იტალიის გეოფიზიკისა და ვულკანოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის ხელმძღვანელმა.

ფერფლისა და მცირე ზომის ქვების ცვენის გამო ხელისუფლებამ კატანიის საერთაშორისო აეროპორტის დახურვის გადაწყვეტილება მიიღო. საგანგებო სიტუაციების სამსახურის განცხადებით, ვულკანის სიახლოვეს მდებარე სამი სოფლის მდგომარეობაზე დაკვირვება მიმდინარეობს.

3 324 მეტრის სიმაღლის ეტნა ამჟამად ყველაზე მაღალი და აქტიური ვულკანია ევროპაში, რომელიც ხშირად იფრქვევა. ის იტალიაში, კუნძულ სიცილიაზე მდებარეობს.

უმდიდრესმა ტიტული ერთ თვეში დაიბრუნა

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანი ისევ ჯეფ ბეზოსია, რომელმაც კომპანია „სფეის იქსისა“ და „ტესლას“ დამფუძნებელ ილონ მასკს გადაასწრო.

ბლუმბერგის მონაცემებით, ჯეფ ბეზოსი 191 მილიარდი დოლარის მფლობელია, ილონ მასკი კი 190 მილიარდის, რაც იმას ნიშნავს, რომ ბეზოსმა მსოფლიოს უმდიდრესი ადამინის ტიტული დაიბრუნა, რომელსაც ის 2017 წლიდან 2021 წლის 7 იანვრამდე იკავებდა.

ამ ჩამონათვალში მესამე ადგილს კომპანია „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელი ბილ გეითსი იკავებს. მისი ქონება ახლა 137 მილიარდ დოლარს შეადგენს.

მსოფლიოს უმდიდერესი ადამიანების ხუთეულში მეხუთე ადგილზე „ფეისბუქის“ დამფუძნებელი მარკ ცუკერბერგია, რომლის ქონებაც 104 მილიარდი დოლარია.

მზის პანელებმა ყინვას ვერ გაუძლო

გერმანიაში გასულ კვირას დიდთოვლობის გამო მზის პანელები გაიყინა, რის შედეგადაც ათასობით ადამიანი გათბობის გარეშე დარჩა. ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენების თვალსაზრისით ლიდერად მიიჩნევა. თემას ავსტრალიელი ტელეწამყვანი როუან დინი გამოეხმაურა.

„მილიონობით მზის პანელი თოვლით არის დაფარული, 30 ათასი ქარის ტურბინა კი არ მუშაობას, რადგან ქარი არ არის. გაყინული გერმანელები კანკალებენ და სასოწარკვეთილად ნატრობენ ნახშირის ენერგიას, რათა საკუთარი სახლები გაათბონ“, — ამბობს დინი.

სადრენაჟო გვირაბით ერთი კორეიდან - მეორემდე...

ჩრდილოკორეელმა სამხრეთ კორეაში გაქცევა სადრენაჟო გვირაბში გაცურვით მოახერხა.

კორეელი სამხედროების ინფორმაციით, დამნაშავე ქალაქ კოსონში გარე სათვალთვალო კამერებმა აღმოაჩინეს, თუმცა მისი დაკავება მხოლოდ სამი საათის შემდეგ მოხერხდა. გავრცელებული ინფორმაციით, 30 წლამდე კაცი, მყვინთავის წყალშეუვალი ეკიპირებით სადრენაჟო გვირაბში ჩავიდა და ამგვარად გადაკვეთა საზღვარი. სამხედროების მიერ ჩატარებულმა მოკვლევამ აჩვენა, რომ გვირაბი არ იყო სათანადოდ დაცული.

ჩრდილოკორეელების მიერ ქვეყნიდან დემილიტარიზებული ზონის გავლით გაქცევა იშვიათი მოვლენაა, თუმცა შარშან ნოემბერში ჩრდილოკორეელი ტანმოვარჯიშე სამმეტრიან ღობეს გადახტა და სამხრეთ კორეაში გაიქცა.

მოამზადა
რუსუდან ქობულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 22 თებერვალს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2985; ევრო - 4.0130;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.5971;
100 რუბლი - 4.5025; თურქული ლირა - 0.4762;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9432;
1000 სომხური დრამი - 6.3147.

ამინდი 18 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-7,	დღე	+3
მთიანი რაიონები -	ღამე	-10,	დღე	-1
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-3	დღე	+5
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	0
თბილისი:	ღამე	-3,	დღე	+2

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge